ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 3 ივნისი, 2013 №129 (6130) ფასი: 30 თეთრი

4 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
კოტე მარჯანიშვილი
4 ლარი

„ნაციონალებმა ვანო მერაბიშვილი გაწირეს!“

ახალაიები მის წინააღმდეგ სკანდალურ ჩვენებებს მისცემენ

გვ.5

ნანა კაკაბაძე: „მალე გაირკვევა, ვის გადაუფორმეს ნაციონალებმა ხალხისთვის წართმეული ქონება“

გვ.3

რატომ შეჩერდა აგვისტოს ომის გამოძიება

ილია II პუტინს წერილს უგზავნის, გენადი ონიშჩენკო კი საქართველოს ბიოტერორიზმში ადანაშაულებს

გვ.4

გოგი ხუციშვილი: „სააკაშვილი თავისი ნამოქმედარის გამართლებას ცდილობს“

გვ.2

სოზარ სუბარი: „ე.წ. საზღვართან დაკავშირებით ხმამაღალი განცხადებები და კივილი შედეგის მომტანი არ იქნება“

გვ.2

დავით სერგეენკო: „მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი დროულად გადაიჭრება“

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პიკასო
8 ლარი



ISSN 1987-9385

6 გიორგი თევზაძე: „თურქეთი არამეგობრულად იქცევა“

7 ნაძალადევი „ჰომოფობია“

6 საქართველოში 77 ათასი სოციალურად დაუცველი ბავშვია

2 ილია II-მ შაბათი წიგნის დღედ დაანესა

გოგი ხუციშვილი: „სააკაშვილი თავისი ნამოქმედარის გამართლებას ცდილობს“

რატომ არის რუსეთთან დიალოგი აუცილებელი

ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

ნათია ხურცილავა

– ბატონო გოგი, რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ზოლის გადმოწევა რა მესიჯია, როგორ ფიქრობთ, ეს არის პასუხი ახალი ხელისუფლების პოლიტიკაზე, რომელიც მას აქვს? რასთან გვაქვს საქმე?

– ბუნებრივად ისმის ეს კითხვა. კითხვაზე, რასთან გვაქვს საქმე? – კარასინის პასუხი იყო, რომ ეს არის გეგმის ნაწილი. მისი პასუხი დამაიმედებელი არ იყო. მიუხედავად ამისა, მაინც არ მგონია, რომ გამიზნულად მოხდა, რომ ეს არის საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენისთვის ჩადებული ნაღმი. თუ სპეციალურად არის გაკეთებული, მაშინ ნაღმია. ვერ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება დე ფაქტო ხელისუფლება, ადგილზე არსებული რუსეთის საჯარისო თუ სასაზღვრო ნაწილები საერთო მითითებით მოქმედებენ, რომ პირობითი საზღვარი ნამდვილ სახელმწიფოთა შორის საზღვრად გადააქციონ და ყველა ატრიბუტი გამოიყენონ, რომელიც აქვს სახელმწიფოთა შორის საზღვარს. ეს გეგმა მათ აქვთ, მაგრამ ახლა დაამთხვიეს სწორედ იმიტომ, რომ ნიჰილიზმი გააჩინონ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების. მოსკოვში კი ამ ნაბიჯის „გაპრავება“ მოუწიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში პუტინი, ლავროვი, ყველანი მიზანმიმართულად ქმნიან ამ დაძაბულობას, უარყოფით დამოკიდებულებას ქართველ ხალხში, რადგან არ უნდათ არანაირი გაუმჯობესება, მაგრამ მაინც არა მგონია, ასე იყოს.

– მაშ, რა გამოდის?

– ალტერნატიული ახსნაა, რომ არის გარკვეული ძალების, გარკვეული სტრუქტურების ნამოქმედარი, რომელიც უმაღლესმა ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო და გაამართლა.

– პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი ერთიან პოზიციაზეა და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში ის თავის გეგმას განახორციელებსო. რას იტყვით?

– სააკაშვილის ამოცანაა, გაამართლოს მთელი ის პოლიტიკა, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ატარებდა. 2004 წლის ზაფხულიდან დაწყებული, ერგნეთის ბაზრობის დახურვით და აგვისტოს ომით დასრულებული, ეს იყო კონფლიქტის საკითხის ჩიხში შეყვანის პოლიტიკა. აგვისტოს ომი ხომ მისი მონაწილეობით მოხდა. არ ვამბობ, რომ მხოლოდ მისი დაწყებულია და განხორციელებულია, მაგრამ მის გარეშე მოვლენები ისე არ განვითარდებოდა, როგორც განვითარდა 2008 წლის აგვისტოში. ამიტომ სააკაშვილს უნდა თავისი პოლიტიკის გამართლება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ რაღაცას არასწორად აკეთებდა. ამიტომაც აქვს მას პოზიცია, რაც უნდა მოხდეს, რუსეთთან საუბარი არ შეიძლება. სააკაშვილის ამ პოზიციას მე დავუპირისპირებდი პოზიციას – რაც უნდა ხდებოდეს, რუსეთთან ჩვენ მაინც გვჭირდება ლაპარაკი.

– ბევრმა გააკრიტიკა ივანიშვილის პოზიცია, რა დროს სავაჭრო და ეკონომიკური საკითხების მოგვარებაა, როდესაც საოკუპაციო ხაზმა გადმოიწიაო. ამ ფონზეც უნდა გაგრძელდეს საუბარი?

– ეს პრობლემა არსებობს. თუ არანაირი რეაგირება მოსკოვიდან ამ ქმედებას არ მოჰყვა, თუ რუსეთმა გააგრძელა საოკუპაციო საზღვრის გადმოწევის პროცესი, თუ ადამიანების საცხოვრებელი სახლი გაიყო – ეზო ერთ მხრეს აღმოჩნდა და მეორე მხარეს – სახლი, ვიღაც მეორე მხარეს აღმოჩნდა და ამიტომ დააკავეს, იზოლატორში გააქანეს თუ ასეთი გაუგებრობები გაგრძელდა და მაინც ოფიციალური პოზიცია არ დაიფიქსირა ოფიციალურმა რუსეთმა, მაშინ ყველა დავეჭვდებით, რომ მოსკოვში არ არსებობს მზადყოფნა ურთიერთობების გაუმჯობესების. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რუსეთს რომ არ ნდომოდა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება, ამ პროცესისთვის მსვლელობა რომ არ მიეცათ, სულ სხვა გზავნილებს მივიღებდით. აბაშიძე-კარასინის ფორმატიც არ შედგებოდა, უამრავი შესაძლებლობა აქვთ, რომ ყველაფერი დაბლოკონ, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ. მოსკოვიდან იყო გზავნილები, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ურთიერთობების გადახედვის დაინტერესება არსებობს, თუმცა იმის გადახედვით, რომ არ მოხდება რუსეთის გადაწყვეტილების გამოწვევა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან დაკავშირებით. მოვლენათა განვითარებაა საინტერესო რა რეაქციები იქნება მოსკოვიდან.

– თუ ეს არის ოფიციალური მოსკოვის პასუხი, მაშინ საფრთხე ემუქრება ეკონომიკურ საკითხებზე დიალოგს, აბაშიძე-კარასინის ფორმატს...

– დიახ. რა თქმა უნდა. ჩემი აზრია, რომ იქაც არის გაყოფილი პოზიციები. იქაც არიან მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჩვენი დიალოგის. ვინც კონფლიქტიდან მოგებას ხედავდა, ვისი პოზიციებიც ამაზე იყო დამყარებული ის, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გაუწევს. არ არის გამორიცხული, რომ იმ ადამიანების, იმ სტრუქტურების, იმ ჯგუფების ნამოქმედარია, რომელიც მთლიანად რუსეთის მიეწერება.

– ადეკვატური არის ხელისუფლების რეაქცია? სწორად მოქმედებენ?

– ჯერჯერობით რასაც ვხედავ, სწორი მიმართულება აქვთ აღებული, თუმცა შეიძლება საერთაშორისო ფორმატის უფრო გააქტიურება. იმასაც ვფიქრობ, რომ უფრო აქტიურად უნდა მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. პატარა საპროტესტო აქცია შეიძლება გამართულიყო, თუმცა იქვე სიახლოვეს არა, რადგან შეიძლება რაიმე პროვოკაციას ჰქონდეს ადგილი. არავითარ შემთხვევაში არ გვინდა მდგომარეობის დაძაბვა, გართულება.

– მეტი კონსოლიდირება არის საჭირო?

– საერთაშორიოსო ორგანიზაციები მაშინ გააქტიურდებიან, როდესაც ნახავენ, რომ ადგილობრივ დონეზე შეწუხება არსებობს. ჩვენ თუ არ გვაწუხებს, მაშინ ისინიც არ შეწუხდებიან. რატომ შეწუხდებიან? ამიტომ თვალსაჩინო დემონსტარცია უნდა მოხდეს, რომ ჩვენ ვგმობთ და არ ვურიგდებით რუსეთის ამ ქმედებას, მაგრამ არა ისე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს გამოიყენოს და თქვას: „რუსეთი ძირს“. ცივილიზებული აქცია უნდა გაიმართოს, რომლის მთავარი ლაიტმოტივი იქნება, რომ ჩვენ არ ვურიგდებით რუსეთის ამ ნაბიჯს. გარკვეული მორატორიუმი უნდა დაწესდეს ნებისმიერ მათ მოძრაობაზე.

– პირდაპირ დიალოგზე, ერთ-ერთზე მოლაპარაკებაზე რას იტყვით? ეს პოზიცია ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა...

– თუ რუსეთს მივუბრუნდებით, ორმხრივ ურთიერთობებს განვავითარებთ, შეიძლება პრობლემები გადაწყდეს, მაგრამ მოსკავში იციან, რომ საქართველო დასავლური ორინტაციისაა, გეზი აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსისკენ აღებული, ამიტომ არც დგას საკითხი, რომ საქართველო დსთ-ს წევრი გახდეს ან საბაჟო კავშირის წევრი გახდეს და რუსეთის გავლენის სფეროში მოექცეს. ეს საკითხი არც დგას. ამდენად, უპრესპექტივოდ მეჩვენება, რომ რუსეთის ორბიტაზე დავბრუნდეთ. მე მეჩვენება, რომ რუსეთთან შეიძლება ყველანაირი ურთიერთობის განვითარება წითელი ხაზების გათვალისწინებით. წითელი ხაზების გათვალისწინებით საუბარი იყო ივანიშვილის გზაზე, რომელსაც მხარს ვუჭერდი და დღესაც ვუჭერ.

– წითელი ხაზები ეხება ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიღმა...

– ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ახლა არ არის საუბარი. ჩვენ ვიცით, რომ არის საკითხები, რომელზეც ახლა ვერ შევთანხმდებით. ამ საკითხის გათვალისწინებით შეიძლება დანარჩენი საკითხების განხილვა და საუბარი. ისევ რომ დავუბრუნდეთ ცოტა ხნის წინ განვითარებულ მოვლენებს, საოკუპაციო ზოლის გადმოწევის საკითხს, საქართველოს ხელისუფლების ახალ პოლიტიკას ეწინააღმდეგება და არაფრით არ ჯდება მასში. ამაზე გარკვეულობა უნდა მივიღოთ და შესაბამისად უნდა მოვიქცეთ.

ილია II-მ შაბათი წიგნის დღედ დააწესა

გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა წიგნის მნიშვნელობაზე იქადაგა,

როგორც უწმინდესმა ბრძანა, ცოდნა და მეცნიერება უნდა დაემკვიდროს სარწმუნოებაზე.

,,ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვიცით ტელევიზიის, პრესის მიხედვით, მაგრამ რით განსხვავდება ჩვენი და ჩვენი წინაპრების ცოდნა? ისინი ღრმად აზროვნებდნენ, ღრმა აზროვნება იყო მათი თვისება და ჩვენ ყველაფერს ზერელედ ვუყურებთ. ჩვენ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ ზედაპირულად. ამიტომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანი მხოლოდ ტლევიზიით და პრესით. მისი პირველი მეგობარი უნდა იყოს წიგნი. უნდა ვკითხულობდეთ წიგნებს და უპირველს ყოვლისა ბიბლიას და შემდეგ სხვა წიგნებს“, – ბრძანა უწმინდესმა.

მან თავისი სტუდენტობის დრო გაიხსენა, როდესაც ზოგიერთ სტუდენტი მხოლოდ ლექციებიდან მიღებული ცოდნით კმაყოფილდებოდა, ზოგი კი ბიბლიოთეკაში აგრძელებდა კითხვას.

უწმინდესმა შაბათი წიგნის დღედ დააწესა.

,,შაბათს ყოველი ჩვენგანი კითხულობდეს წიგნებს და თუ აქვს საშუალება, წავიდეს ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა უნდა გაივსოს ჩვენი ხალხით. იქ ჩვენ ვნახავთ უამრავ ძვირფას წიგნს. საპატრიარქოს ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც არის ისეთი წიგნები, სადაც ვერ ნახავთ ვერცერთ სხვა ბიბლიოთეკაში. შაბათს 10.00 საათიდან 19.00 სათამდე იქნება ღია ბიბლიოთეკები და ჩვენ უნდა მივიდეთ და ვიკითხოთ წიგნები. მე მინდა მოგცეთ ყველას ლოცვა-კურთხევა, რომ შაბათი ისედაც ლოცვის დღეა და ამასთან ერთად იქნება წიგნის დღე. ღმერთმა მოგცეთ ძლიერი მტკიცე, ჭეშმარიტი სარწმუნოება და დიდი ცოდნა“, –ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგების დასრულებისას უწმინდესმა 11 გვარი და სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი დალოცა და სამღვდელოება დააჯილდოვა.

ნედიანიუსი

სოზარ სუბარი: „ე.წ. საზღვართან დაკავშირებით ხმამაღალი განცხადებები და კივილი შედეგის მომტანი არ იქნება“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ე.წ. საზღვართან დაკავშირებით ხმამაღალი განცხადებები და კივილი, შედეგის მომტანი არ იქნება.

ამის შესახებ სუბარმა ჟურნალისტებს საოკუპაციო საზღვრის გადმოწევის კომენტირებისას განუცხადა.

– ყოველ დღე მიმდინარეობს ეს მოლაპარაკებები. ახლა ხმამაღალი ნოტები და განცხადებები და კივილი, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა, არ არის შედეგის მომცემი. ხშირად კონტრპროდუქტიულიც კი არის. ამისი შედეგი იყო ერთხელ, როცა პატრიარქის ჩარევით რუსებმა საჩხერის ერთ-ერთი სოფლიდან ჯარი გაიყვანეს და საკაშვილის კივილის შემდეგ უკანვე შემოიყვანეს. ასე რომ, მუშაობა ყოველ დღე მიმდინარეობს და ამ მუშაობის შედეგია ის, რომ პრაქტიკულად, დაკავებული ადამიანების გათავისუფლება იმავე დღეს თუ არა რამდენიმე დღეში მაინც ხდება, – განაცხადა სუბარმა.

პირველი

დავით სერგეევნკო: „მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი დროულად გადაიჭრება“

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი დროულად და ეფექტურად გადაიჭრება.

ამის შესახებ სერგეენკომ მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის კომენტირებისას განაცხადა.

– აშკარაა, რომ ის რეგულაციები, რაც არსებობს, საჭიროებს ცვლილებას. ეს ცვლილებები უნდა იქნას მიღებული ღრმა, გააზრებული და გაანალიზებული და სწორად რისკებგათვლილი მოქმედებების შემდეგ, თუ რას გამოწვევს ესა თუ ის ქმედება. გარწმუნებთ, რომ ამ პრობლემის მნიშვნელობა არავიზე ნაკლებად არ გვესმის და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ დროულად და ეფექტურად გადაიჭრას ეს საკითხი, – განაცხადა სერგეენკომ.

პირველი

ჯეიმს აპატურაი დავით უსუფაშვილსა და დავით ბაქრაძეს შეხვდება

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი დღეს თბილისში, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს შეხვდება.

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართება. ამის შემდეგ იგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდება. შეხვედრა თბილისში, იუსტიციის სახლში არის.

შეგახსენებთ, რომ ჯეიმს აპატურაი თბილისს ნატოს კვირეულის ფარგლებში ეწვევა, რომელიც დღეს გაიხსნება.

მედიანიუსი

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში რუსებმა გზა გადათხარეს

წალენჯიხის სოფელ მუჟავასა და გალის რაიონის სოფელ ლეკუხონას საზღვართან რუსმა ოკუპანტებმა გზა გადათხარეს. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, საზღვართან რუსი სამხედროები დილის საათებიდან ანარმოებენ შესაბამის სამუშაოებს, თუმცა მათ საზღვართან ახლოს მისვლა ვერ გაბედეს. – იტყობინება საინფორმაციო სააგენტო სმო.გე.

„ჩვენ გვეშინია რამე არ დაგვიშავონ და რუს სამხედროებთან ახლოს მისვლას ვერ ვბედავთ. დილიდან მუჟავა ლეკუხონას საზღვართან არიან კონცენტრირებული და მათ თან ახლავთ მძიმე ტექნიკაც. ჩვენ დავინახეთ მხოლოდ ის, რომ მათ მიერ იქნა გადათხრილი ის გზა, სადაც გავლებულია ამ ორ სოფელს შორის ე.წ საზღვალი. სხვა არაფერი ვიცით. რუსი სამხედროები ამ დროისთვისაც ადგილზე რჩებიან, თუმცა გადათხრილი გზიდან ოდნავ მოშორებით,“-აცხადებენ საინფორმაციო სააგენტო სმო.გე-სთან სატელეფონო საუბრისას სოფელ მუჟავას მაცხოვრებლები.

საინფორმაციო სააგენტო სმო.გე მდგომარეობის გასარკვევად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გოგა გულორდავასთან დაკავშირება სცადა, რომელმაც საინფორმაციო სააგენტოს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პაატა ზაქარეიშვილი: „ე.წ. საზღვართან სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ე.წ. საზღვართან სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

ამის შესახებ ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს საოკუპაციო ხაზის გადმოწევის კომენტირებისას განუცხადა.

„ის მდგომარეობაა, რაც იყო ადრე. კონტროლს ექვემდებარება ყველაფერი და დამატებით განცხადებებს ვერ გავაკეთებთ“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

პირველი

ეგვიპტის პოლიცია ქართველების დაკავების გამო ბოდიშს იხდის

ეგვიპტის პოლიცია ქართველების დაკავების გამო ბოდიშს იხდის. მათივე ინფორმაციით, საქართველოს 12 მოქალაქე ეგვიპტის ქალაქ ხურგადას კუნძულ ნეპტუნზე მხოლოდ ფოტოებს იღებდა და არა პორნოგრაფიულ ფილმს, როგორც ამას მედია წერდა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, შემოწმდა კამერები, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ქართველებისთვის წაყენებული ბრალდება არასწორი იყო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 12-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში „კიკალა სტუდიის“ გადაცემა „ტოპ გოგოს“ მოდელები იყვნენ. ამჟამად ეგვიპტეში იმ პოლიციელების სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, რომლებმაც ქართველები უკანონოდ დაიჭირეს.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტურიმა მედიამ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ეგვიპტელმა მესაზღვრეება ქართველი ტურისტები დაიკავეს, რომლებიც პორნოფილმს იღებდნენ.

პირველი

დღეს შსს-ს წარმომადგენლები დიპკორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვდებიან

დღეს შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელები დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვდებიან.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო მოწვეულ სტუმრებს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ყველა იმ სოფლების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის, სადაც რუსი „მესაზღვრეების“ მიერ მავთულხლართების ინსტალაცია მიმდინარეობს.

აღნიშნულ შეხვედრაზე, ასევე საუბარი შეეხება ბოლო პერიოდში რუსი სამხედროების მიერ, ე.წ. „ადმინისტრაციული საზღვრის“ გადაკვეთისთვის მოქალაქეების უკანონოდ დაკავების ფაქტებს.

პირველი

თბილისში მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით აქცია გაიმართა

თბილისში, პარლამენტის შენობის წინ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით აქცია დასრულდა. აქციის მიმდინარეობისას მისი მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

აქციის ბოლოს პარლამენტის წინ შეკრებილებმა სიმბოლურად ქაღალდის თვითმფრინავები გაუშვეს. აქციის დასრულების შემდეგ მათ პარლამენტის წინ მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. აქციის ორგანიზატორები გუშინნდელი ღონისძიებით კმაყოფილები დარჩნენ.

„წარმატებული აქცია იყო, კმაყოფილები ვართ. 2 000-მდე მოქალაქე მოვიდა, რაც ადეკვატური რაოდენობაა. ჩვენი მოთხოვნები კარგად იყო წამოყენებული და იმედია, მთავრობა ამას გაითვალისწინებს“, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ლექსო მაჭავარიანმა.

აქციაზე მსახიობები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, მათ შორის მიშა მესხი, ქეთათო, აჩიკო გულედანი იმყოფებოდნენ.

მედიანიუსი

ნანა კაკაბაძე: „მალე გაირკვევა, ვის გადაუფორმეს ნაციონალებმა ხალხისთვის წართმეული ქონება“

რატომ შეჩერდა აგვისტოს ომის გამოძიება

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

– ქალბატონო ნანა, ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ რა ხდება სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე ქართულ სოფლებთან. რუსები ნელ-ნელა იკავებენ ჩვენს ტერიტორიებს. როგორ შეაფასებდით მომხდარს? რა არის ეს – ახალი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან?

– ეს არის ზეწოლის პოლიტიკა და ალბათ ამის უკან დგას რაღაც კიდევ დამატებითი მოთხოვნები რუსეთის, ალბათ, ძალიან მალე გახდება ნათელი, თუ რა არის ეს. ეს არის პოლიტიკური ზეწოლა, შეიძლება ეს იყოს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიერ ინსპირირებულიც, რათა მოხდეს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია, რომ თუ ჩვენ ომით დავკარგეთ ტერიტორიები, აგერ უომრადაც ვხედავთ, რუსეთს გადმოაქვს საზღვარი. ჩვენ ძალიან მალე ვგეგმავთ აი, ამ 2008 წლის ომის ანალიზის გაკეთებას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ძალიან სერიოზული ექსპერტები, ადამიანები, რომლებიც თვითონ იყვნენ უშუალოდ ომის მონაწილეები. მათ ჰქონდათ ჩაბარებული გარკვეული საომარი ოპერაციები. ჩვენ ორშაბათს ან სამშაბათს გავმართავთ პრესკონფერენციას და საზოგადოებას მათ დასკვნებს გავაცნობთ. ექსპერტები ისაუბრებენ იმის შესახებ, თუ რა იყო ეს 2008 წლის ომი. არ არის გამორიცხული, დღევანდელი მოვლენებიც იყოს იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელზედაც ჩვენი ექსპერტები ისაუბრებენ.

– ერთი პერიოდი აქტიურად საუბრობდა ახალი ხელისუფლება აგვისტოს ომის გამოძიებაზე, შემდეგ კი მიყუჩდნენ. თქვენი აზრით, რა მოხდა?

– მიყუჩდნენ იმიტომ, რომ ეს არ არის მარტო ქვეყნის შიდა პოლიტიკური მომენტი, ეს არის საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილი, რაც მოხდა 2008 წელს და საქართველოს ხელისუფლება არ არის მზად იმისათვის, რომ ამ ყველაფერს გასცეს პასუხი, ჩემი აზრით.

– რამდენად მნიშვნელოვან საკითხებს გაახმაურებენ ეს ექსპერტები?

– ვნახოთ, მე არ მინდა, რომ წინასწარ ამაზე ვისაუბრო. ჩვენი ჯგუფი გამოაცხადებს, რომ ისინი იწყებენ ამ მასალის დადებას საზოგადოებისთვის, ამ შედეგების დადებას. წინა შესავალი გაკეთდება პრესკონფერენციაზე, სადაც ესენი იტყვიან, თუ რა სახის დასკვნას ამზადებენ ისინი საზოგადოებისთვის. ეს ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა. ეს დასკვნა პრესკონფერენციიდან დაახლოებით ერთ კვირაში დაიდება და ალბათ შემდეგ დაინტერესდება ბეჭდვური მედია და ამას გამოაქვეყნებენ. ამის შემდგომ კი გაიმართება დისკუსიები ამ თემასთან დაკავშირებით და ჩვენ მზად ვიქნებით იმისათვის, რომ ყველანაირ კითხვას პასუხი გავცეთ და შევიდეთ დისკუსიაში, თუკი ეს ყოფილ ან ამჟამინდელ ხელისუფლებას დააინტერესებს. თუმცა მე გამოვრიცხავ, რომ რომელიმე ძველი ან ახალი ხელისუფლება ამ დისკუსიაში შემოვიდეს. ეს რომ აინტერესებდეთ, დასკვნა აქამდეც დაიდებოდა.

– ქალბატონო ნანა, თქვენთან დაკავშირებით დადის ასეთი ხმები, რომ ზედმეტად აქტიურობს ნანა კაკაბაძე, ვიღაცებს ხელს უშლის და შეიძლება საქმე მის დაპატიმრებამდეც მივიდეს... თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ?

– სიმართლის თქმა არავის არ სიამოვნებს, არც ერთ ხელისუფლებას. მე ჯერ არ მოვსწრებივარ ისეთ ხელისუფლებას, რომელსაც უყვარს, როცა მას სიმართლეს ეუბნებიან. არც დღევანდელ ხელისუფლებას უყვარს, რა თქმა უნდა. რაც შეეხება ზედმეტად აქტიურობას, მე არ მესმის, რას ნიშნავს ზედმეტად და ნაკლებად აქტიურობა, რასაც ვთვლი საჭიროდ ვაკეთებ იმას და ყოველთვის გავაკეთებ, სადაც არ უნდა ვიყო.

– როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოგიძებნონ მიზეზად? ფლობთ რაიმე ინფორმაციას?

– არა, მსგავსი ინფორმაცია არ გამაჩნია. საბაბის მოძებნას რა უნდა, თუკი ამისი სურვილი იქნება. თქვენ იცით, რომ ბოლო პერიოდში ხელისუფლების თითქმის ყველა უკმაყოფილო ჯგუფებმა ჩვენ ირგვლივ მოიყარა თავი. ეს იყო ჯერ სპორტის სასახლის ყრილობაზე, მერე ამ ყრილობამ კიდევ უფრო დიდი ტალღა გამოიწვია ასეთი ადამიანების მოდინებისა. შესაბამისად, ამ ადამიანებს თან მოჰყვებათ ის ინფორმაციებიც, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ. მე მგონია, რომ დღეს უფრო მეტად აქტიური და უფრო მეტად ინფორმირებული ჯგუფი საზოგადოების ქვეყანაში არ არის, ვიდრე ეს ჩვენი მოძრაობა – სამართლიანობა უნდა აღდგეს. თქვენ იცით, რომ პარლამენტს გავუგზავნეთ რეზოლუცია, სადაც ვითხოვდით, რომ მოხდეს პარლამენტის მხრიდან სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი პერიოდის შეფასება, იგივე პოლიტიკურ-მორალური. ეს მოხდა 21 რიცხვში. 19 მაისს მივიღეთ რეზოლუცია და 21-ში უკვე პარლამენტს გადავუგზავნეთ და პასუხი დღემდე არ არის. ასე რომ, პოლიტიკური ნება იმისა, რომ ხელისუფლებამ გვითხრას, რა იყო ეს, ეს არ კეთდება. ამაში ხომ 2008 წლის ომიც შევიდოდა, ამაში ხომ ყველაფერი უნდა შესულიყო, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს. ასევე მინდა გითხრათ რომ ჩვენ გავუგზავნეთ ე.წ. საბრალდებო დასკვნაც, საკმაოდ სქელტანიანი და საკმაოდ ყოვლის მომცველი, რომელიც პარლამენტს დაეხმარება, შეაფასოს ეს რეჟიმი, თუკი მას ამისი სურვილი ექნება და სხვათა შორის, ძალიან კვალიფიციური ექსპერტების მიერ არის ეს დასკვანა მომზადებული. ანუ რეჟიმის საბრალდებო დასკვნა, რა იყო ეს რეჟიმი და რა მოუტანა მან ქვეყანას.

– რით გიპასუხათ პარლამენტმა?

– ჯერჯერობით პარლამენტი დუმს. ვნახოთ, ეს დუმილი რამდენ ხანს გაგრძელდება და როგორ გვიპასუხებენ. ბუნებრივია, ჩვენ ვართ მზად იმისათვის, რომ მათ უარყოფით პასუხზე ჩვენი რეაქციაც მივცეთ და ვისაუბროთ იმაზეც, თუ რატომ არ უნდა დღევანდელ ხელისუფლებას, მოხდეს ამ რეჟიმის ადეკვატური შეფასება.

– თქვენ შეგიძლიათ ამ კითხვაზე გასცეთ პასუხი, თუ რატომ არ უნდა?

– რა თქმა უნდა. თუმცა ჯერჯერობით კიდევ მოლოდინის რეჟიმში ვართ. მე გუშინ ველაპარაკე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას ამ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხარო რეალობაა, რომ მან მითხრა, რომ მხოლოდ გუშინ გადაეცა მათ კომიტეტს ეს რეზოლუცია, მაშინ, როდესაც 21-ში გავაგზავნეთ პარლამენტში და ჯერჯერობით არანაირი პასუხი არ არის.

– ქალბატონო ნანა, სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ და ითქვა, რომ ეს პროცესი დაიწყო და ეს ვანო მერაბიშვილის დაკავებას დაუკავშირეს. თქვენი აზრით, რამდენად დაიწყო რეალურად ეს პროცესი?

– ეს იყო რაღაცა მყისიერი რეაქცია იმაზე, რომ უკვე დაინახეს, რომ საზოგადოებაში აზვირთდა მოთხოვნილება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს და ამაზე იყო ეს რეაქცია. რა თქმა უნდა, ერთი ადამიანის დაპატიმრება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგა. სწორედ ამაზე საუბრობს ჩვენი ე.წ. რეჟიმის საბრალდებო დასკვნა, რომელიც დაიდო, იქ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე რომ ამ რეჟიმმა დაზარალებული ადამიანების როგორი ჯგუფები შექმნა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არიან. ეს მოხდა სწორედ იმ პოლიტიკის შედეგად, რომელ პოლიტიკასაც ის ხელისუფლება ატარებდა, თუ გინდა, საბანკო სექტორში, თუ გინდა, კერძო იპოთეკებთან დაკავშირებით, თუ გინდა, უაკნონო დაპატიმრებებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით, ბიზნესთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, დღეს პრეზიდენტიც კი კითხულობს, რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენაო? სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმას, რომ როდესაც ეს რეჟიმი ადამიანებს მოექცა უსამართლოდ, აი, ამ სხვადასხვა სფეროებში, ამ უსამართლობით მიყენებული ზიანი დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა აანაზღაუროს. ამ ადამიანებს ის დარღვეული უფლებები უნდა აღუდგინონ. ეს რის სამართლიანობის აღდგენა უპირველეს ყოვლისა და ჩვენ, აი, ამას ვგულისხმობთ. შემდეგ ამას ინდივიდების დაპატიმრება მოჰყვება, თუ მათი ქონების ჩამორთმევა, ეს უკვე თანმდევი პროცესია. მთავარი არის, რომ პროცესი უნდა დაიწყოს იმით, რომ ეს უფლებაშელახული ადამიანები, რომლებიც ჯგუფების სახით შექმნა 9-წლიანმა რეჟიმმა, აი, ამ ადამიანებს უნდა აღუდგეთ თავიანთი შელახული უფლებები და აი, ეს არის სამართლიანობის აღდგენა და სწორედ ამ პროცესის დაწყებას ველოდებით ჩვენ. თუმცა ძალიან ჭიანურდება და ხშირ შემთხვევაში სერიოზულ კითხვის ნიშნებსაც აჩენს აი, ამ პროცესის ასეთი გაჭიანურება.

– თქვენი აზრით, მხოლოდ მერაბიშვილზე შეჩერდებიან თუ შეიძლება სხვებიც ვიხილოთ მის გვერდით?

– სურვილის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, რომ ყოფილიყო აქ სამართლიანად ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდებოდა განსასჯელის სკამზე. სულ ცოტა ის ადამიანებიც მაინც, ვინც უკანონოდ და პოლიტიკური ნიშნით იჭერდნენ და ციხეებში სვამდნენ ადამიანებს. ესენი იყვნენ გამომძიებლები, პროკურორები და თუნდაც მოსამართლეები, მაგრამ ეს პროცესი არ არის დაწყებული თუნდაც ამ მიმართულებით. თუნდაც ის, რომ გაკულაკებულია მთელი საქართველო, ჩამორთმეული აქვთ ქონება. ზოგს ღამის ოთხ საათზე აქვს ჩუქებები გაკეთებული ხელისუფლებისთვის, საჯარო რეესტრში თუ ნოტარიუსის გზით გადაფორმებული ეს უზარმაზარი ქონება, რაც კი რამ გააჩნდათ და დღეს თითქოს ამისი გამოძიება იყოს პრობლემა. რა სიზმარში ნახეს ამ ადამიანებმა, რომ შუაღამისას ადექით და რაც კი რამ გაბადიათ, აჩუქეთ ხელისუფლებასო, თუ ზეციური გამოეცხადათ, ეს რომ გააკეთეს?! რად უნდა ამას ლაპარაკი, რომ აქ იყო რაღაც სერიოზული ზეწოლა და ეს იყო პოლიტიკური წნეხი ამ ადამიანებზე, ეს ხომ თავისთავად მეტყველებს ამაზე, რომ ადამიანები დგებიან და ყველაფერს ჩუქნიან ხელისუფლებას. ამას რა დიდი გამოძიება სჭირდება და რა დიდი დადგენა სჭირდება, ვისი სქემა იყო ეს და რატომ კეთდებოდა. სურვილი რომ ყოფილიყო, ამის გამოძიებას და ამ ფაქტების დადებას არაფერი უნდოდა. მით უმეტეს, რომ ეს ხალხი დღეს ამ ყველაფერზე ღიად ლაპარაკობს და სურვილის შემთხვევაში თუ მათ დაიბარებენ და დაკითხავენ, ყველანი მზად არიან ამაზე მისცენ ჩვენებები და დაეხმარონ გამოძიებას. თუმცა ეს პროცესი არ დაწყებულა და ამიტომ არც სამართლიანობის აღდგენა არ ხდება. ამ კუთხით ჯერ არაფერი გაკეთებულა. ისეთი მტკიცებულებები არსებობს, სასაცილოც არის ლაპარაკი იმაზე, რომ გამოძიებას დიდი დრო სჭირდება, ამას გამოძიებაც კი არ სჭირდება, ყველაფერი ზედაპირზე დევს.

– რა ხდება, არ შედის ეს ხელისუფლების ინტერესში, თუ რასთან გვაქვს საქმე?

– ხელისუფლებას დავუსვათ ეს კითხვები, თუ რა ხდება. როდესაც წინასაარჩევნო დაპირებებს იძლეოდნენ, ამას ჰპირდებოდნენ, რომ მოვალთ და ეს ყველაფერი ასე უცვლელად დარჩება და არავინ დაისჯება. თუ პირიქით იყო, რომ სამართლიანობა აღდგება, სუყველას პასუხს ვაგებინებთ თქვენი დაჩაგვრისთვის. ეუბნეოდნენ, რომ არც ერთი სახლი აღარ გაიყიდება და ეს ყველაფერი შეჩერდება. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დარჩა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებად. დღეს ხალხი კიდევ არის მოლოდინის რეჟიმში, იმის განცდა აქვს, რომ ჯერ ძველი ხელისუფლება არ წასულა, სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, არაფერი გამოვა, წავა სააკაშვილი და ეს დაიწყება... რა იქნება მერე? თუ დღეს არა აქვს ნება, მერე გაუჩნდება ეს ნება? სააკაშვილი ქმნის იმ პრობლემას, რომ ქვეყანაში ეს პროცესები დაიწყოს? არა მგონია... მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას ამისი პოლიტიკური ნება არ გააჩნია.

– ეს არ არის პრემიერის ნება თუ არსებობენ კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც ამ ყველაფერ ხელს უშლიან?

– ნელ-ნელა გამოიკვეთება რა ჯგუფებია. გაირკვევა, თუ ვინ გადაიბარა ეს ბიზნესები და იგივე სიტუაციაში ამყოფებენ ამ ბიზნესწართმეულ, თუ ქონება ჩამორთმეულ ხალხს. თუ რა ხდება, ეს ნელ-ნელა გამოიკვეთება. – რა არს დაფარული, რომელი არ განცხადდესო – უფალი იძახის და ეს ყველაფერი ზედაპირზე ამოვა. თუმცა ამასობაში ნადგურდება და ინგრევა ოჯახები. უკიდურესად მძიმე სოციალური და პოლიტიკური ფონი რომ იყო, იმიტომაც მოხდა პირველ ოქტომბერს ეს გარდატეხა და იმიტომ იფეთქა ხალხმა, რომ უკიდურეს მდგომარეობაში იყო საზოგადოება და ეს უკიდურესი მდგომარეობის შეჩერება უნდა მომხდარიყო. პროცესი დაწყებული იყო და ეს მიექანება უფსკრულისაკენ, თუ არ იქნა პოლიტიკური ნება ახალი ხელისუფლებისა, რომ ეს პროცესი შეჩერდეს. აი, ამ პროცესშია დღეს საზოგადოება და ამიტომ ძალიან ნაკლებად არის განცდა ხალხში იმისა, რომ სამართლიანობა აღდგება.

2013, 3 ივნისი, №129

ილია II პუტინს წერილს უგზავნის, გენადი ონიშჩენკო კი საქართველოს ბიოტერორიზმში ადანაშაულებს

მეოცნებეები გვიმტკიცებდნენ, საკმარისია, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან ჩავაჩოჩოთ, რომ რუსეთი ჩვენი ძმა და მეგობარი გახდებაო. ამ მოსალოდნელი ძმობის ხათრით, საქართველომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. არადა, არაფერი დაშავდებოდა ამ ოლიმპიადის გამოტოვებით. ზამთრის სახეობებში მაინც ვერაფერს ვიგებთ და რაღა სოჭში გაგვიმართლებს. ამის გარდა, ლამის კანონით აიკრძალა რუსების მისამართით ტერმინ „ოკუპანტის“ ხმარება. ოკუპაციის შესახებ კანონშიც შეაქვთ ცვლილებები და ლამისაა დაგვიმტკიცონ, რომ მზე ჩრდილოეთიდან ამოდის.

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ რუსეთი არ იცვლება. დამტკიცდა ისიც, რომ მოსკოვისთვის სულერთია ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლების სათავეში. მართალია მეოცნებეები მოსკოვს აშკარად ენისმოჩლექით ესაუბრებიან მაგრამ ეს ეტყობა საკმარისი არ აღმოჩნდა.

ალბათ გახსოვთ რა ზეიმი იყო ჩვენს სამშობლოში ავადსახსენებელმა გენადი ონიშენკომ კომისია რომ გამოაგზავნა. მათ ჩვენებური ღვინოები შეამოწმეს და ნაწილს რუსულ ბაზარზე დაბრუნების უფლება მისცეს. თითქოს ყინული დაიძრა, მაგრამ მოულოდნელად მეცამეტე გოჭივით გამოვარდა ონიშენკო და განაცხადა, რომ ქართული ღვინო თურმე ძმარი ყოფილა. მერე ესეც არ გვაკმარა და იმ შეჩვენებულმა რუსეთის ტერიტორიაზე ღორის გრიპის გავრცელება დაგვაბრალა. სხვათა შორის ამ ბრალდებით რუსები ადრეც გამოდიოდნენ. ონიშჩენკო განცხადებით, რუსეთში ღორის აფრიკული ჭირის გაჩენა საქართველოს მიერ დაგეგმილი ეკონომიკური დივერსიის შედეგი იყო.

– ეჭვი არ არის, რომ ეს ასე იყო. ეს საქართველოს ტერიტორიიდან განხორციელდა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, ეს იყო მკაფიოდ დაგეგმილი აქცია, რომლის მიზანს რუსეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონების ეკონომიკის ძირის გამოთხრა იყო, – განაცხადა ონიშჩენკომ.

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მონაცემებით, დათვალა, 2008 წლიდან დღემდე ღორის აფრიკული ჭირის მიერ მიყენებულმა ზარალმა 2 მილიარდ რუბლს (64 მილიონი აშშ დოლარი) გადააჭარბა. ამ პერიოდში აფრიკულმა ჭირმა რუსეთში 400 ათასამდე ღორი შეიწირა .

2012 წლის აპრილის თვეში, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა კობა ჯამაშვილმა, ოფიციალურად უარყო საქართველოს ტერიტორიიდან ღორის აფრიკული ჭირის რუსეთში გავრცელება, რადგან მსგავსი დაავადება საქართველოში არასდროს ყოფილა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ონიშენკოს ბრალდებებს არ იზიარებს რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროც სადაც თვლიან, რომ ღორის აფრიკული ცხელება რუსეთში საქართველოდან შემთხვევით შევიდა 2007 წლის შემოდგომაზე.

მათი ინფორმაციით რუსეთში დაავადება გარეულმა ღორებმა შეიტანეს და პირველად დაავადება ჩეჩნეთში გარეულ ღორებს შორის დაფიქსირდა, თუმცა მოგვიანებით აფრიკული ჭირი 2008 წელს უკვე შინაურ ცხოველებშიც გავრცელდა.

„ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ონიშენკომ აშშ-ის მიერ დაფინანსებული ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიაზეც ისაუბრა. ამ ლაბორატორიაში მისი თქმით, ამერიკელი სამხედროები აწარმოებდნენ კვლევებს. ონიშენკომ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის ქართველი სამოქალაქო ექიმებისთვის გადაცემას სწორი გადაწყვეტილება უწოდა..

ცნობისათვის, საქართველოს მთავრობის 7 მაისის განკარგულებით მოხდა რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის ლიკვიდაცია. მისი ქონება კი დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს გადაეცა.

– ამ ლაბორატორიაში კონტროლს ამერიკელი სამხედროები ახორციელებდნენ. საქართველოს წინა ხელისუფლებამ პრაქტიკული ჯანდაცვისა და ეროვნული ინტერესების საზიანოდ, სრულად მათ ხელში მოაქცია ეს სადგური. საქართველოს ახალმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სადგური დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის გადაეცა. პროფესიონალ სამოქალაქო ექიმებთან ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას. ეს არის დიდი ნაბიჯი, მაგრამ არა საბოლოო. საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ არის ორი სამხედრო ლაბორატორია. იმედია, რომ ისინიც იგივე ბედს გაიზიარებენ და ქართული სამოქალაქო ჯანდაცვის ხელში გადავა და მოემსახურება ქართველი ხალხის ინტერესს და არა სხვა ქვეყნის სამხედო უწყების ინტერესებს, – აღნიშნა ონიშენკომ.

ონიშენკოს ლაპარაკის იქეთ საქმე რომ არ წასულიყო ერი ბევრს არ ინერვიულებდა. უკვე 10 დღეა რაც რუსი სამხედროები ქართულ სოფლებში მავთულხლართებს ავლებენ. სოფლებში დიცსა და დვანში 200 მეტრით წამოიწიეს წინ. იგივე ვითარებაა საჩხერის რაიონის სოფელ პერევშიც. ამ დღეებში კი წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთანაც გააქტიურდნენ. მუჟავა გალის რაიონს ესაზღვრება.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ხელისუფლება რაღაც გაურკვეველ შეშფოთებას გამოხატავს. ნაციონალები ცდილობენ ეს ამბავი მეოცნებეებს დააბრალონ. არადა მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც იგივე ხდებოდა.

ამ მხრივ ოდნავ განსხვავებული პოზიცია აქვს მიხეილ სააკაშვილს. ის შექმნილ ვითარებაში ივანიშვილის ხელისუფლების ბრალეულობას ვერ ხედავს. მან საქართველოს მთავრობას კიდევ ერთხელ შესთავაზა თანამშრომლობა და წინა ხელისუფლების გამოცდილების გაზიარება საქართველოს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომები კვლავაც უნდა განახლდეს.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, იგი შექმნილ ვითარებაში ახალ მთავრობას არ ადანაშაულებს. ქვეყნის პირველი პირი მიიჩნევს, რომ პოზიციამაც და ოპოზიციამაც ერთად უნდა გადახედოს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას, რათა საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში არ მოექცეს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთი ამით ახალ პროვოკაციას აწყობს და საქართველოს მთავრობა მისი გეგმის მსხვერპლი ხდება. მისი თქმით, რუსეთს პრობლემა აქვს ამ ქვეყნის ნებისმიერ მთავრობასთან და ცდის მის სიმტკიცეს.

რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ნაბიჯებს საქართველოს ეკლესიაც გამოეხმაურა. საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საგანგებო წერილი გაუგზავნა.

– გამოვთქვამთ შეშფოთებას რუსი ჯარისკაცების მიერ სოფელ დიცთან საქართველოს დროებითი საზღვრის გადმოწევის გამო. ეს არის ჩვენი მოსახლეობისთვის მეტად მტკივნეული და მოულოდნელი ქმედება, მითუმეტეს იმ მცდელობების ფონზე, რასაც ჩვენი ქვეყნები ურთიერთობის ნორმალიზებისათვის აკეთებენ და რაც, საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენთვის ადვილად განსახორციელებელი არ არის. ვიმედოვნებთ, თქვენ სწორ შეფასებას მისცემთ შექმნილ ვითარებას და მიიღებთ სათანადო ზომებს აღნიშნული მდგომარეობის დროულად გამოსწორებისათვის, – ნათქვამია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ს წერილში.

ამ მიმართულებით პატრიარქის ჩარევამ ერთხელ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი. ალბათ ყველას გახსოვთ სოფელ პერევის ისტორია. საჩხერის რაიონის სოფელი პერევი რუსებმა აგვისტოს ომის დროს დაიკავეს. კოკოითიმ იქაურობა სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა.

საქართველოს პატრიარქის ჩარევით რუსებმა ერთხელ უკვე დათმეს პერევი. ახლა გაირკვა რომ მათ იქ 200 მეტრით წამოიწიეს წინ. ვნახოთ რა რეაგირებას მოახდენს ილია II-ის მიმართვაზე პუტინი.

რამდენიმე თვის წინ ილია II მოსკოვში იმყოფებოდა. სადაც ის რუსეთის პრეზიდენტსაც შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. ჩვენი მოსახლეობა ამ შეხვედრისგან ბევრს ელოდა. შედეგი ჯერ არ ჩანს. ნამოქმედარით ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია რომ რუსეთი არ იცვლება.

მოსკოვში კი რუსეთის როლზე სხვანაირად საუბრობენ. რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრმა და პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა, 31 მაისს მოსკოვში რუსეთ-საქართველოს თემაზე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთთან შეერთებამ საქართვლო ლიკვიდაციისგან იხსნა.

– რუსეთისა და საქართველოს ხალხი ყოველთვის გრძნობდა მიზიდულობას ერთმანეთის მიმართ, ისინი ყოველთვის ძმურად იყვნენ. რუსეთთან გაერთიანებამ საქართველო ლიკვიდაციისგან იხსნა-იმჟამინდელი სპარსეთის მიზანი საქართველოს დაპყრობა და მისი გამუსულმანება იყო, – განაცხადა მარკოვმა.

სერგეი მარკოვი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახალი მთავრობა დადებითად არის განწყობილი რუსეთის მიმართ.

– ახალი მთავრობა დადებითად არის განწყობილი რუსეთის მიმართ, მაგრამ სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ასე რომ პრობლემა გადასაწყვეტია, – დასძინა მარკოვმა.

პოლიტოლოგი გვპირდება, რომ ის ყველანაირად შეეცდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ხელი შეუწყოს.

– ჩვენ ვკონცერტრირდებით განათლებაზე, კულტურაზე, მედიცინაზე, სპორტზე, ახალგაზრდობაზე. ჩვენ შევეცდებით ხელი შევუწყოთ ქართველი და რუსი ახალგაზრდობის დამეგობრებას. შევეცდებით რუსმა ახალგაზრდებმა ქართულ კურორტებზე დაისვენონ, – განაცხადა სერგეი მარკოვმა.

„ქვეყნის მომავალზე ყველანი ვაგებთ პასუხს!“

ქართველი ემიგრანტები გააქტიურებას გეგმავენ

შორენა მარსაგიშვილი

ასეულობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ არის გადახვეწილი. საქართველოს სოფლები და ქალაქები ხალხისგან დაცლილია. ძველი ხელისუფლება პირობას დებდა, რომ ქვეყნიდან გადახვეწულებს სამშობლოში დაბრუნებდა. სამწუხაროდ მოხდა პირიქით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა.

მათი დაბრუნების აუცილებლობაზე ახალი ხელისუფლებაც ბევრს საუბრობს. ჯერჯერობით ემიგრანტების დასაბრუნებლად სათანადო გარემო ვერც მათ შექმნეს. ამ პროცესს ემიგრანტები შეძლებისდაგვარად გაგებით ეკიდებიან. ამასთან გადაწყვიტეს საქართველოში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურად ჩაერთონ. ასეთი გადაწყვეტილება საბერძნეთში მყოფმა ქართველმა ემიგრანტებმა მიიღეს. მათ სათანადო დოკუმენტიც კი შეიმუშავეს. ისინი იმედოვნებენ, რომ მათ გადაწყვეტილებას სხვა ქვეყნებში მცხოვრები ემიგრანტებიც შეუერთდებიან.

პარტია „თეორების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, ამჟამად იმყოფება საბერძნეთში. სადაც გამართა შეხვედრები ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან და საბერძნეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან.

პირველი ასეთი შეხვედრა შედგა თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველოსთან“ და მის თავმჯდომარე ელგუჯა მინდაძესთან ერთობლივი ორგანიზებით თესალონიკის მერიის საკონფერენციო დარბაზში, სადაც „თეორების“ ლიდერსა და საბერძნეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს შორის გაიმართა პოლიტიკური დისკუსიები საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. შეხვედრები შედგა ასევე 2 ივნისს ათენში, „კავკასიის კულტურული ცენტრისა“ და მისი თავმჯდომარის, პროფესორ ავთანდილ მიქაბერიძის მხარდაჭერით.

ერთობლივად მიღებულ დოკუმენტში ემიგრანტები სინანულს გამოთქვამენ იმ უფლებების წართმევის გამო, რასაც ქვეყნის მართვაში მონაწილეობა ჰქვია. ხელისუფლების შეცვლით კმაყოფილი არიან. გაკეთებულ საქმეებსაც ამჩნევენ. თუმცა მიიჩნევენ, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

– ჩვენ გვესმის, რომ 5-6 თვეში შეუძლებელია ყველაფრის რადიკალური შეცვლა. მით უფრო, როცა განუზომელია მასშტაბები პრობლემებისა, რომელიც ახალ ხელისუფლებას დახვდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდია მხატვრული ტილო ან ნაქანდაკები, მით უფრო შორიდან უნდა უცქირო. ჩვენ, სამშობლოში მარად დარჩენილ შორიდან მოცქერალთ გვეჩვენება: – მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ჩვენი ხელისუფლებისაგან ათწლეულის მანძილზე ბედის ანაბარად მიტოვებულთ, სხვამ რა პატივი უნდა გვცეს. მითუმეტეს, კარგად ვხედავთ, თუ ჩვენივ ბედში აღმოჩენილ სხვა ტომის ადამიანებზე როგორ მზუნველობას იჩენენ დროებით სიდუხჭირეში აღმოჩენილი მათი მთავრობები. ამასვე ხედავენ მასპინძელი ქვეყნების ადგილობრივი მმართველებიც. ალბათ, ამითაც არის განპირობებული, რომ სამართლებრივად სრულიად დაუცველნი, ბევრ სიმწარეს ვაწყდებით. არაუშავს, ყველაფერს გავუძლებთ, მაგრამ სად გავამხილოთ, რომ ჩვენივ ხელისუფლებამ წაგვართვა მოქალაქის უპირველესი უფლება – მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, მისი სამომავლო ბედის გადაწყვეტაში. ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის პარლამენტში არჩეული ჰყავთ დეპუტატები საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა სათვისტომოებიდან. ჩვენ კი ხმის მიცემის უფლებაც კი შეგვიზღუდეს აბსურდული მოთხოვნებით, რაც პრაქტიკულად მოქალაქის ამ უპირველესი უფლების ჩამორთმევად გარდაისახა ჩვენს რეალობაში. და ეს მაშინ, როცა ძალიან კარგად ვიცით, ვის ყულაბაში აღმოჩნდა ჩვენი მიუცემელი ხმები. ისიც კარგად ვიცით, დღესაც რატომ რჩება ეს საკითხი უცვლელად, ვინ და რატომ ლობირებს ახალ ხელისუფლებაში პრობლემის ძველებურად დატოვებას. ამის უფლებას კი უკვე ვერავის მივცემთ, ჩვენ ყველამ ერთად მოვიტანეთ დღევანდელი საქართველო, ამიტომაც ყველა ერთად ვაგებთ პასუხს მის მომავალზე, – ნათქვამია ერთობლივად მიღებულ დოკუმენტში.

ისინი მზად არიან საქართველოში დაბრუნდნენ. თუმცა მიაჩნიათ, რომ ამ დაბრუნებით შესაძლოა ქვეყანაში გარკვეული პრობლემები შეიქმნას.

– ერის სულიერ მამამ და ბრძენმა მოძღვარმა სრულიად ქართველთა ამ დღეებში ერთხელ კიდევ მოგვიწოდა სამშობლოში დაბრუნებისაკენ. ყოველი ქართველის ისტორიული მოვალეობა და საზრუნავიც ეს არის. მაგრამ დაბრუნება უნდა მოხდეს ღირსეულად, ისე, რომ სიძნელეები არ შევუქმნათ სამშობლოს. ამისათვის, ჩვენი აზრით საჭიროა დიდი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება:

პირველი – მიგრანტებს უნდა დაგვიბრუნდეს სამოქალაქო უფლებები, სრულფასოვანი მოქალაქის შეგრძნება, შელახული ღირსება. ჩვენ არა მხოლოდ იმ არჩევნებში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც კონსტიტუციით თითქოს გარანტირებული გვქონდა, არამედ ევროპული ქვეყნების დარად უნდა მოგვეცეს უფლება მაჟორიტარი დეპუტატები ავირჩიოთ იგივე წესით, რა წესითაც ისინი აირჩევიან სამშობლოში. თუმც ამის იმედი ნაკლებად გვექნება, ვიდრე თავად ქვეყანაში არ აღდგენილა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტართა ქვოტები – ამ მიწებიდან დროებით იძულებით გადაადგილებული ადამიანებიც და იქ დარჩენილებიც ხომ ჩვენი ქვეყნის შვილები არიან, მხოლოდ, ჩვენივ სამშობლოსგან დროებით მოკვეთილი ტერიტორიებიდან;

მეორე – საჭიროა საქართველოს მთავრობამ მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მის მოქალაქეებს იგივე უფლებები ჰქონდეს უცხოეთში,რა უფლებებიც გააჩნიათ უცხოელებს საქართველოში. ჩვენ კი ძალიან კარგად ვიცით, რა პირობებია შექმნილი საქართველოში უცხოელთათვის, მათ შორის, ზოგჯერ საკმაოდ საეჭვო პირებისთვისაც. უცხოეთში ადგილობრივი მთავრობებისაგან და მოქალაქეებისაგან ჩვენ ვნახეთ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„ნაციონალებმა ვანო მერაბიშვილი გაწირეს!“

ახალაიები მის წინააღმდეგ სკანდალურ ჩვენებებს მისცემენ

შორენა კოწოწაშვილი

რა დანაშაულში იკვეთება დათა ახალაიასა და ერეკლე კოდუას ბრალი და გაწირეს თუ არა საბოლოოდ ვანო მერაბიშვილი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელ დავით ლილუაშვილთან.

— ბატონო დავით, ბევრი პრეტენზია ისმის სამართლიანობის აღდგენის პროცესთან დაკავშირებით. ყოფილი პოლიტპატიმრები ორგანიზებულად აპირებენ საკუთარი უფლებების დაცვას. რამდენად სწორად შენიშნავს ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ თუ არ მოხდა პრეზიდენტ სააკაშვილის გასამართლება, ამ ქვეყანაში სამართალი ვერ აღდგება?

— სამართლიანი პრეტენზიები აქვთ პოლიტპატიმრებს. აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური დამოკიდებულება აქვს მოსახლეობის უმრავლესობას. სხვათა შორის, რომ მომხდარიყო სამართლიანობის აღდგენა და სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება-დასჯა, სწორედ ამიტომაც მისცა საქართველოს მოსახლეობამ ნდობის მანდატი საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

— ანუ კოალიციისთვის ნდობის გამოცხადების მთავარი ფაქტორი ეს იყო?

— რა თქმა უნდა. კოალიციისთვის ნდობის გამოცხადების მთავარი ფაქტორი ეს იყო. ხალხს უნდოდა, „ნაციონალები“ და მიხეილ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ეხილა. ასეთი იყო საზოგადოების დაკვეთა. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები სწორედ ამგვარი იყო, რომ მოხდებოდა სამართლიანობის აღდგენა, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის გასამართლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დაპირების აღსრულება ისე ეფექტურად ვერ ხორციელდება, როგორი მოლოდინიც ჰქონდა მოსახლეობას. დაკავებულია და წინასწარ პატიმრობაში იმყოფება სააკაშვილის რეჟიმის მხოლოდ ორი მაღალჩინოსანი — თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი. სასამართლოში ჯერ მხოლოდ ახალაიას საქმის არსებითი განხილვა მიდის და ისიც არ ვიცით, როგორ დამთავრდება.

— რა არის მიზეზი იმისა, რომ სამართლიანობის პროცესი შედარებით ინერტულია?

— რა თქმა უნდა, კოაბიტაცია, ეს ავადსახსენებელი და თავს მოხვეული კოაბიტაცია.

— სხვა ინტერესები ხომ არ იკვეთება? ივანიშვილის მთავრობა გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიაზე ხომ არ წავიდა სააკაშვილის პოლიტელიტასთან?

— შესაძლებელია, საკმაოდ დიდი დრო გავიდა და უგულავას ხელმძღვანელობით უკვე უნდა იყვნენ იმავე ეკონომიკური დანაშაულისთვის წინა ხელისუფლების წარმომადგენლები დაპატიმრებული, ისინი, ვინც იტაცებდნენ საბიუჯეტო თანხებს და ითვისებდნენ სახელმწიფო ქონებას. რა მნიშვნელობა აქვს, რა ინტერესი იკვეთება, მთავარი ხომ შედეგია, თუმცა ძირითადად მაინც კვლავ კოაბიტაციას ვახსენებდი. ყველამ კარგად ვიცით, როგორი თავს მოხვეული ინიციატივაა ეს კოაბიტაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რომ ახალმა ხელისუფლებამ ჰარმონიული ცხოვრება უნდა გააგრძელოს სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლებასთან. ეს არის უცხოეთის დაკვეთა. სხვათა შორის, ევროპის სახალხო პარტიის ლიდერის განცხადება და ამერიკაში რიგი სენატორების გამოსვლები სწორედ ამას ნათელი მაგალითია და, როგორც ჩანს, სწორედ ამ ზეწოლის გამო ივანიშვილის მთავრობას რაღაც დათმობებზე წასვლა უხდება.

— გასაგებია მათი პოზიცია, თუმცა მართლაც ძნელია დამნაშავე ხელისუფლებასთან კოაბიტაცია, როგორც არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს.

— არასაპარლამენტო პოლიტიკურ სპექტრში და საზოგადოებაშიც ერთი და იგივე განწყობაა. არ შეიძლება, ქალაქში ერთდროულად დადიოდეს მკვლელიც და მსხვერპლიც. რასაც ძმები ახალაიები აკეთებდნენ ქვეყანაში ან მათი მამა სამეგრელოში, რომელიც სამხარეო პროკურორი და რეჟიმის მთავარი დასაყრდენი ფიგურა იყო რეგიონში, დაუსჯელნი როგორ უნდა დარჩნენ? რასაც „ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში ჩადიოდა, ეს არ შეიძლება შერჩეს წინა ხელისუფლებას.

— პროკურატურის მუშაობაში ხარვეზებია, უწყების სისუსტე ჩანს თუ პოლიტიკური კონიუნქტურა მოქმედებს?

— ამ შემთხვევაში ყველაფერი ერთადაა. საკმაოდ კრიტიკული კითხვები მაქვს არჩილ კბილაშვილის მიმართ. პროკურატურაშიც კოაბიტაციის პროცესი მიმდინარეობს?! იქნებ ევროპიდან გაკეთებული განცხადებებისა და რეკომენდაციების მიხედვით ხორციელდება საგამოძიებო მოქმედებები?! საერთოდ, პროკურატურის სისტემაში ძირეული საკადრო ცვლილებები რომ არის საჭირო, ამას კიდევ დიდი ფიქრი უნდა? არ შეიძლება, ის პროკურორები კვლავ რჩებოდნენ თანამდებობაზე ან უფრო მეტიც — იყვნენ წახალისებულნი და დაწინაურებულნი, რომლებიც კერავდნენ მრავალ ოდიოზურ სისხლის სამართლის საქმეს.

— ბატონო დავით, თქვენ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი ახსენეთ. მედიაში ჩანს, რომ პროკურატურას მისთვის ბრალის დამტკიცება უჭირს, შესაბამისად, ვისმენთ როლანდ ახალაიას ღიმილიან კომენტარებს. მართლაც უდანაშაულოა ბაჩო ახალაია, რასაც ის და ნაცმოძრაობა ამტკიცებენ?

— კონკრეტული ბრალის დამტკიცება ბაჩო ახალაიასთვის ნამდვილად არ არის ძნელი, ყველა დანაშაული სახეზეა, არიან დაზარალებულები და ახალაიას კლანის მიერ რეპრესირებულები, არიან მოწმეები, არის მტკიცებულებები. ვფიქრობ, პროკურატურას ბაჩო ახალაიასთვის ბრალის დამტკიცება არ გაუჭირდება, იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული პირები — სააკაშვილის რეჟიმის პროკურორებსა და მოსამართლეებს ვგულისხმობ, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან თანამდებობებზე შემორჩენილი, პოლიტიკური ინტერესებით არ იმოქმედებენ და ნაციონალური მოძრაობის დირექტივებით არ იხელმძღვანელებენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პირთა მიმართ ნაციონალურ მოძრაობას კიდევ აქვს სერიოზული გავლენა. თქვენის ნებართვით, მინდა, ასევე შევეხო არჩილ კბილაშვილის განცხადებებს დათა ახალაიასთან მიმართებით, სადაც ის აცხადებს, რომ შესაძლოა დათა ახალაიას მოეხსნას ბრალი იმ შემთხვევაში, თუ ის გამოძიებასთან ითანამშრომლებს გარკვეულ საქმეებზე, ვფიქრობ, მთავარი პროკურორი ცოტა არაადეკვატურია, კბილაშვილის განცხადება სამართალთან და მართლმსაჯულებასთან კოლიზიაშია მოსული. რატომ უნდა მოეხსნას დათა ახალაიას ბრალი იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც მისი ბრალეულობა გამოკვეთილია, ასევე იმ საქმეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გახმაურებული?! იქნებ გარკვეული ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობს ბაჩო ახალაიას მიმართ?

— კონკრეტული ფაქტები იცით, რომელიც იმავე დათა ახალაიას მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულს ადასტურებს?

— დიახ, მაგალითისთვის მოვიყვან ზაზა სანდოძის საქმეს, რომელიც ე.წ. მუხროვანის ამბოხში ბრალდებულ პირებს დაუკავშირეს და დაიჭირეს. ის არის პოლიტპატიმარ კობა ოთანაძის დეიდაშვილი. სანდოძის მიმართ განხორციელდა ანგარიშსწორება დათა ახალაიასა და ერეკლე კოდუას მხრიდან. ზაზა სანდოძე უკანონოდ იქნა დაკავებული, შემდეგ ის მოდულის შენობაში იქნა გადაყვანილი, სადაც მას დათა ახალაია და ერეკლე კოდუა ფიზიკურად გაუსწორდნენ. ზაზა სანდოძისგან ითხოვდნენ ეთქვა, სად იმყოფებოდა იმ დროს კობა ოთანაძე. რა უნდა ეთქვა მას იმ კითხვებზე, რომელსაც კოდუა და დათა ახალაია უსვამდნენ კობა ოთანაძეზე, როცა დეიდაშვილი დაახლოებით ერთი თვე არ ენახა. იმის გამო, რომ მან ახალაიასა და კოდუას მათთვის სასურველ კითხვებზე ვერ უპასუხა, რამდენიმე საათის განმავლობაში უმოწყალოდ სცემეს და აწამეს. სხვათა შორის, ამ ცემა-წამების ფაქტს ესწრებოდა მაშინდელი შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელსაც უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა ზაზა სანდოძის ცემაში, მაგრამ არაფერს აკეთებდა, რომ გავეშებული ახალაია და კოდუა შეეჩერებინა. ესეც დანაშაულია და ამაზე ლორთქიფანიძემაც უნდა აგოს პასუხი.

— არჩილ კბილაშვილის უწყებაში შესულ საჩივარში სანდოძე მიუთითებს, რომ მას მანქანაში იარაღი ჩაუდეს და შვილისთვის ნარკოტიკის ჩადებით ემუქრებოდნენ. სანდოძემ ამ დანაშაულში ხელი მცხეთის პოლიციის უფროსსაც დაადო.

— ეს ასეც მოხდა. საქმე შეიკერა და სანდოძეს ის იარაღი ჩაუდეს, რომლითაც პოლიციელებმა, ერეკლე კოდუასა და დათა ახალაიას მითითებით, მცხეთის ტერიტორიაზე სანდოძის დახვრეტის იმიტაცია მოახდინეს, შემდეგ უკვე ნაცემ და ნაწამებ სანდოძეს უთხრეს, მოვიტანთ ავტომატს და შენი მანქანის საბარგულში ჩავდებთ, შენ კი აღიარებ, რომ ეს ავტომატი შენიაო. სხვათა შორის, დათა ახალაია ემუქრებოდა სანდოძეს — ხომ იცი, ვინ ვარ, შენც მოგკლავ და შენს შვილსაც ნარკოტიკს ჩავუდებთ და ციხეში გამოვალპობთო. ასეთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფებოდა ზაზა სანდოძე, რაც გრძელდებოდა გლდანის საპყრობილეშიც და ბოლოს უდანაშაულო ადამიანი იძულებული გახდა, საპროცესო შეთანხმებაზე წასულიყო პროკურატურასთან.

— როცა კბილაშვილი ამბობს, რომ შეიძლება დათა ახალაია პატიმრობაში არ იქნეს აყვანილი, ის დამნაშავეს უნებლიეთ ხელს აფარებს?

— მას ამ განცხადების გაკეთების უფლება არ ჰქონდა. დათა ახალაია მხოლოდ ერთ დანაშაულში არ არის მხილებული. იგი იყო სააკაშვილის პოლიციური რეჟიმის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფიგურა. მაშინდელი შსს ხომ სააკაშვილის რეპრესიულ მანქანას წარმოადგენდა და საუბარია ათობით თუ არა, ასობით დანაშაულზე, არა მხოლოდ გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, მათ შორის არაერთ საქმეში ფიგურირებს ვანო მერაბიშვილიც.

— ითქვა, რომ ბაჩო ახალაიასთვის უკეთესია, ქართულ ციხეში იჯდეს, ვიდრე თავისუფლებაში იყოს ჩეჩნების შიშის ქვეშ. რა შეიძლებს იყოს საპარლამენტო უმცირესობის წევრ როლანდ ახალაიას სიხარულისა და ღიმილიანი კომენტარების რეალური მიზეზი? გვახსოვს, ის აქამდე აქციებს მართავდა და არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში უნდა იყოს მისი ოჯახი — ერთი შვილი ციხეში, მეორე — ძებნაში.

— სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მერაბიშვილისა და ახალაიების კლანს შორის სერიოზული დაპირისპირება იყო. ისინი ერთმანეთს დომინანტობისათვის ებრძოდნენ. რამდენჯერმე მოვისმინეთ გაღიმებული როლანდ ახალაიას კომენტარი იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანში ის ბევრ რამეს იტყვის. დაველოდოთ მის განცხადებებს, თუმცა, ალბათ, გახსოვთ, დათა ახალაიას ფეისბუქის განცხადება, რომელიც მან დაახლოებით ერთი თვის წინ გამოაქვეყნა იმასთან დაკავშირებით, რომ მერაბიშვილის პოლიტიკურ ამბიციებს ბევრი რამ შეეწირა. ასე რომ, დათა ახალაია მერაბიშვილს გარკვეულ ბრალდებებს უყენებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვარაუდი, რომ იმავეს იტყვის მამამისიც.

— ანუ არაპატიმრობაში მყოფი დათა ახალაია ბრალდებულ ვანო მერაბიშვილისთვის საშიშია?

— გასაკვირია? მათ ხომ ერთმანეთზე სერიოზული ინფორმაცია და კომპრომატები აქვთ. სხვათა შორის, ახალაიებს იმიტომაც ჰქონდათ გაბრაზებული პოზიცია ვანო მერაბიშვილის მიმართ, რომ მან არც ერთი განცხადება არ გააკეთა დაპატიმრებული ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად, არადა, ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს, ახალაიების ლოგიკით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხარდამჭერი განცხადება უნდა გაეკეთებინა.

— სააკაშვილმა და ნაციონალური მოძრაობის მმართველმა გუნდმა ვანო მერაბიშვილი გაწირა?

— სააკაშვილი, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ვანოს კი არა, რომ დასჭირდეს, საკუთარ ოჯახსაც გაწირავს, „ნაცები“ კი ფორმალურად იცავენ მერაბიშვილს. ისე, ნაციონალებს სხვა არაერთი ოდიოზი საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავთ. მერაბიშვილი მათ ვეღარ გამოადგებათ. ხომ ხედავთ, მას რამდენიმე დღის წინ ბრალი დაუმძიმდა ახალ ეპიზოდთან — 26 მაისთან დაკავშირებით. იმედია, 7 ნოემბერზეც წარედგინება ბრალი, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ 7 ნოემბერი მერაბიშვილის ბრალში არ ფიგურირებდეს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ 7 ნოემბრის სპეცოპერაცია როცა განხორციელდა, მერაბიშვილის მოქმედებების მიმართ იდეური მხარდამჭერი პოზიცია ჰქონდა ამჟამინდელ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს, ყოველ შემთხვევაში, ისევ ივანიშვილის განცხადებით ვიცით, რომ მას მაშინდელი გრანდიოზული სახალხო გამოსვლები რუსული პროექტი ეგონა, ამბობს, მე ასე მარწმუნებდნენო. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ბიძინა ივანიშვილს 7 ნოემბერი და მაშინდელი არასწორი პოზიცია უხერხულობას უქმნიდეს, ამიტომაც, შეიძლება, 7 ნოემბერზე საუბარი საერთოდ შეწყდეს.

„ქვეყნის მომავალზე ყველანი ვაგებთ პასუხს!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბევრი სითბო, თანადგომა, ყურადღება... და ეს მაშინ, როდესაც თავად ამ ქვეყნებში სერიოზული ეკონომიკური კრიზისია. ჩვენ აქ ვეზიარეთ ჭეშმარიტ ევროპულ ღირებულებებს, ნამდვილ ადამიანურ უფლებებს და არა პოლიტიკოსთაგან თავსმოხვეულ ყალბ იდეალებს. გავიცანით კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან მყოფი ბერძნების, იტალიელების, ესპანელების და მთლიანად ევროპის კულტურა, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები.

მესამე — ჩვენ უცხოეთმა გადაგვარჩინა;

ჩვენ გადავარჩინეთ ჩვენი ოჯახები; ჩვენ დაგროვილი გამოცდილებით, ცოდნით, ადამიანური ურთიერთობებით შეგვიძლია გადავარჩინოთ სხვები, თუ ამის რეალური სურვილი და პოლიტიკური ნება ექნება საქართველოს ხელმძღვანელობას. ამისათვის კი, უპირველესად საჭიროა სამუშო ადგილები. სამუშაოს გარეშე, ყოველგვარ დემოკრატიაზე, კეთილდღეობაზე, წინსვლაზე ლაპარაკი სულ ფუჭი საქმე და თვალებში ნაცრის შეყრაა. ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ უცხოელ მეგობრებთან ერთად საქართველოსა და უცხოეთში შექმნან ქართველთა დასაქმებისა და საქართველოსათვის სიკეთის მომტანი ერთობლივი ობიექტები. ყველა ახალ საქმეს კი თავდაპირველად დაფინანსება სჭირდება. საჭიროა დასაწყისისათვის თუნდაც 300 -400 მლნ ევროს გამოყოფა, რაც ქვეყანას არათუ მძიმე ტვირთად დააწვება. ერთი-ასად დაუბრუნდება კიდეც. სასურველია, ამ ფონდის შექმნისას გათვალისწინებული იქნას მიგრანტების, მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ეკლესიის მოსაზრებები დასაქმიანობაში ჩაბმის სურვილები. ხაზგასმით ვამბობთ, ეს იქნება სამშობლოში თანამემამულეთა დაბრუნებისათვის შექმნილი ფონდი, რომელიც მოხმარდება არა ერთეულთა პირობების გაუმჯობესებას, როგორც ეს ათწლეულის მანძილზე ხდებოდა, არამედ უმუშევართა დასაქმებას, ქართულ ეკონომიკაში დასავლური გამოცდილების შემოტანას ისევ ქართველთა მიერ, უცხოელი მეგობრების გონებისა და მატერიალური სახსრების გამოყენებას საქართველოს საკეთილდღეოდ, ქართველ ერსა და ევროპელთა შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ნამდვილი სახალხო დიპლომატიის განვითარებას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ტრადიციული ურთიერთობების აღდგენასთან, — აცხადებენ ქართველი ემიგრანტები.

თიბისი ბანკმა გერმანიაში თანამედროვე ქართული კულტურის პრეზენტაცია მოაწყო

თიბისი ბანკმა გერმანიაში, ქალაქ კიოლნში, თანამედროვე ქართული კულტურის პრეზენტაცია მოაწყო.

„Touch Georgia!“ („შეეხე საქართველოს!“) — ამ სახელწოდების კულტურული პროექტით, რომელიც თიბისი არტ-გალერეის ეგიდით გაიმართა, თიბისი ბანკი პირველად წარსდგა უცხოელი პარტნიორების წინაშე. პრეზენტაცია თიბისი ბანკის ერთ-ერთი აქციონერის, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიის (DEG) საგამოფენო სივრცეში გაიმართა.

პროექტის მიზანი იყო წამყვანი უცხოური საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლების და ზოგადად, გერმანელი საზოგადოებისათვის ქართული კულტურის წარდგენა. გარდა ამისა, ამ პრეზენტაციით საფუძველი ჩაეყარა თიბისი ბანკისა და DEG-ის ორმხრივ კულტურულ ურთიერთობებს, რომლის ფარგლებშიც DEG-ი გეგმავს თბილისში, თიბისი არტ გალერეაში გერმანული კულტურის წარდგენას.

DEG-ის საგამოფენო სივრცეში შედგა ქართული კულტურის — თანამედროვე მხატვრობისა და ტიხრული მინანქრის გამოფენა, რომელსაც თან ახლდა ქართული ნაციონალური ატრიბუტიკა: ქართული ეთნო-მუსიკა, ნაციონალური კოსტიუმები, ქართული ღვინო „შატო მუხრანისგან“ და ფოკის მონასტრის მიერ წარმოებული ქართული ყველი...

80-იანი წლების ქართველი მხატვრები ზურაბ ნიჟარაძე, მამია მალაზონია, გია გუგუშვილი, სანდრო დალაქიშვილი, ირაკლი სუთიძე, ნინო ფხალაძე ... თანამედროვე არტისტები: თუთუ კილაძე, დუსელდორფის ხელოვნების აკადემიის სტუდენტები, გურამ შავდია და მარიამ ოდიშელიძე — ეს ის მხატვრები არიან, რომელთა ნამუშევრებსაც DEG-ის საგამოფენო სივრცე მასპინძლობდა. აქვე იყო წარმოდგენილი გალერეა „ორნამენტის“ მიერ შესრულებული ტიხრული მინანქრის ნამუშევრები.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები, DEG-ის ხელმძღვანელები, თიბისი ბანკის აქციონერები და დამფუძნებლები.

საქართველოში 77 ათასი სოციალურად დაუცველი ბავშვია

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

როცა ქვეყანაში 77 ათასი ბავშვია დაუცველი სოციალურად და ვერ ღებულობენ ისინი შესაფერის განათლებას, საკვებსა და ჯანმრთელობის უზრუნველოფას, მაშინ ნაკლებად უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი ხელისუფლებისკენ, რადგან ამდენ პრობლემას (თუნდაც ბავშვებთან დაკავშირებით რომ არსებობს) ადვილად ვერ გაუმკლავდება ჩინოვნიკი და მისი რეიტინგი, მინიმუმ, აუცილებლად დაეცემა. რატომღაც რეიტინგი და საზოგადოების განწყობა ნაკლებად აინტერესებთ მომავალ მინისტრებს, პრეზიდენტებსა თუ დეპუტატებს. ჩანს, რომ ხელისუფლებისკენ სწრაფვა ან „მანია გრანდიოზის“ გამო ხდება, ან კიდევ ხელისუფლებაში ყოფნა კომფორტია (როცა მოვალეობაზე ნაკლებად ფიქრობ და უფლებებს იყენებ, ზოგჯერ ბოროტადაც).

1 ივნისს ერთჯერადად გამოჩენილი ყურადღება მომავალ თაობას რომ არ ყოფნის და ბავშვებზე პერმანენტულად უნდა იყოს ხელისუფლების ყურადღება კონცენტრირებული, არ არის სადაო, თუმცა ვხედავთ, რომ დასავლური გამოცდილებისკენ ,ამ თვლსაზრისით, არ ,,ვისწრაფით“. როცა ჩვენს ირგვლივ მშიერი და ავადმყოფი ბავშვებია და მათზე მხოლოდ წინასაარჩევნოდ საუბრობენ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები (ქულების დაწერის მიზნით), ან კიდევ ორიოდე ადამიანი გამოჩნდება, რომლებიც ლუკმას გამოიძრობს პირიდან და მშიერს დააპურებენ, ან კიდევ სატელეფონო ზარით დაუჭერენ მხარს (ამ მხარდაჭერის 40% მობილურ ოპერატორთან რომ მიდის, ყველამ არც იცის).

ახლოვდება შემოდგომა და ახლოვდება საარჩევნო პერიოდი. როცა ქვეყნის მაჯისცემაზე გინდა დაკვირვება, საკმარისია მედიაზე თვალის მიდევნება. ყველაზე უკეთ სოციალური ქსელები ახერხებს სრულყოფილი სურათის დახატვას. ყოველი მეორე გამოქვეყნება მედიაში სოციალური ან პოლიტიკური ხასიათისაა. ყველაზე დიდი დეფიციტი ადამიანურ ურთიერთობებშია და მასზე აპელირება არ ხდება, რადგან მედია ბიზნესია და ბაზარი ითხოვს აგრესიას–გაყიდვადი მხოლოდ აგრესიული შინაარსის მასალაა.

ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ საპრეზიდენტო კანდიდატებზე, მოსალოდნელ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და თვითმმართველობებზე. როგორც იქნა ,,ქართულმა ოცნებამ“ (უფრო პრემიერმა ივანიშვილმა) დაასახელა საპრეზიდენტო კანდიდატურა და მანანა კობახიძემაც აღიარა, რომ ,,ამ უმცირესობასთან“ ერთად პარლამენტში ყოფნა უჭირს.

თუ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ვადამდე (საპრეზიდენტოსთან ერთად), მას ექნება ორი მხარე და ნაწილობრივ მოგებული შეიძლება დარჩეს მოსახლეობა. მაჟორიტარ დეპუატატთა შორის რამდენიც გინდათ, იმდენს დაგისახელებთ, რომლებზეც ამომრჩეველი საფუძვლიანად გაბრაზებულია. მართალია, გვიჭირს, გავმიჯნოთ ამომრჩევლებმა აღმასრულებელი და კანონმდებლების მოვალეობები, თუმცა აქ არაა ამომრჩეველი დამნაშავე: როცა დეპუტატობას აპირებენ მამაცხონებული კანდიდატები, ყანის გათოხნის გარდა ყველაფერს გვპირდებიან. ჩასხდებიან მერე სავარძლებში და დრო არ ჰყოფნით, რომ ,,იქ“ პულტზე თითიც მიაჭირონ და ,,აქ“ პრობლემები მოაგვარონ. პულტზე თითის დაჭერა აგვარებდეს ჩვენ ირგვლივ არსებულ საკითხებს, ვინ იწუწუნებდა?! ჭიათურის მაჟორიტარს აყვედრიან იმას, რომ მხოლოდ მაღაროელ ,,რეგრესის პენსიონრებს“ ეძლევათ ანაზღაურება და სხვა წარმოებაში დამარცხებულებს არა. საჩხერის მაჟორიტარს კი უფრო იშვიათად ვიხედებით, ვიდრე ახალ მთვარესო, დარდობენ საჩხერლები. ხარაგაულის დეპუატატზე ბევრი ამბობს, რომ ,,41-მა“ უშველა, თორემ ეგ რა ასარჩევი იყოო.

თუ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ამომრჩეველი ბევრად უფრო ფრთხილად იქნება, მაგრამ საშიშროება ისაა, რომ მივიღებთ ერთპარტიულ (ან ერთკოალიციურ) პარლამენტს, რაც გამოიწვევს იმას, რომ მორჩილი ,,თითის მიმჭერები“ გადაივსება პარლამენტი. არასდროს ვყოფილვარ ,,ნაციონალური მოძრაობის“ მეხოტბე, მაგრამ ოპოზიციურ როლს ასრულებენ ამჟამად საკანონმდებლო ორგანოში (გამოგიტყდებით, ზოგჯერ უნიჭოდაც ასრულებენ ამ როლს) და ,,ქართულ ოცნებას“ სიფრთხილის პოზიციაში აგდებენ.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილია მარგველაშვილის კანდიდატურის საკითხი. გვინდა თუ არა, პოლიტიკაში ახალფეხშედგმული მარგველაშვილი გახდება პრეზიდენტი. მართალია, ალასანიას კანდიდატურა ამომრჩევლის დიდი ნაწილისათვის მისაღები იყო, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა დაუშვა კოალიციის წინაშე ,,ცოდვა“, რომელიც ვერ აპატია ივანიშვილმა. სხვა პერსონებს ,,ქოცისტანიდან“ არ ჰქონდა დიდი პერსპექტივა, მაგრამ ბ. ივანიშვილის ხელდასხმულ ნებისმიერ კანდიდატს გარანტირებული ექნებოდა პრეზიდენტობა. ალბათ ალასანია იმიტომ არ ,,ამხედრდა“ პრემიერის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ მას ამით პოლიტიკური ბანკროტი ემუქრებოდა. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მისი ,,ფრანგობის“ გარდა კიდევ ერთი ხელისშემშლელი პირობაც დევს სიღრმეში: ის ისეთ პერსონასაც არ ემორჩილებოდა (,,თავის ჭკუაზე დადიოდა“), როგორიც საკაკაშვილია. ანუ მას ძალიან მაღალი აქვს თვითმყოფადობის ხარისხი. ახსოვს მკითხველს, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის პოზიტივი მხოლოდ ზუარბიშვილის მინისტრობისას მოხერხდა. წარმოიდგინეთ, რა მოჰყვება იმ ფაქტს, რომ ,,პარიჟანკის“ პრეზიდენტობისას მოგვარდეს ყველაზე სტრატეგიულ მეზობელთან ურთიერთობა?! რამდენი ყოფილი და მოქმედი პოლიტიკური ფიგურა დაიფერფლება რეიტინგულად, ეს (რეიტინგის ვარდნა) კი არც ყოფილ და არც ახლანდელ ხელისუფლებს არ აწყობთ. მდიდარი ადამიანების ფსიქოლოგია უმეტესად მოწყობილია ისე, რომ მას ყველაფერი ხელეწიფება და ალტერნატიულ (თუნდაც მომგებიან) აზრებს ნაკლებად იზიარებენ. ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი სადაც არ უნდა იყოს, მას ევროპაში ჩამოყალიბებული პროფესიონალიზმი მისცემს იმის უფლებას, რომ აკეთოს ის, რაც კარგად იცის და გამოსდის.

რაც შეეხება მარგველაშვილს, რატომ აღმოჩნდა პრემიერისთვის ყველაზე მეტად მისაღები? მიუხედავად იმისა, რომ კალაძის ფეხბურთიდან გაცილების დროს განაცხადა ივანიშვილმა, რომ კალაძე არავისზე ნაკლები მინისტრი არაა, მაგრამ მაინც არჩევანი ფილოსოფოსზე გააკეთა. ,,ფილოსოფოსი ვიცი მე კასრში“ სენტენცია 21-ე საუკუნეში აქტუალური აღარაა. თავადაც თქვა მარგველაშვილმა: „ჩემს პროფესიასთან შედარებით, ძალიან მდიდარი ვარ. ჩემი პროფესიის ხალხს იმდენი ფული არ აქვს, რამდენიც მე მაქვს. ფილოსოფოსს რომ დაახლოებით 60 ათას ლარამდე აქვს შემოსავალი, მგონი, ცუდი არ არის. ახლა ამდენი აღარ მაქვს.“ ეს სიტყვები მან მანამდე თქვა, ვიდრე საპრეზიდენტო კანდიდატურად წამოაყენებდნენ.

გ. მარგველაშვილის ქონებრივი დეკლარაცია ხელმისაწვდომია და თან მისი ქონების სიდიდე და წარმომავლობა ნამდვილად არ წარმოშობს კითხვის ნიშნებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ,,ჯიპას“ რექტორობა ნაკლებ ძალებს მოითხოვდა და მეტ შემოსავალს აძლევდა ივანიშვილის ფავორიტს, რატომ დასთანხმდა მეტ შრომას და პასუხისმგებლობებს ნაკლები ანაზღაურების მიუხედავად? იქნებ ჰქონდა მარგველაშვილს უკვე გააზრებული, რომ მას ,,ქართული ოცნება“ დაუჭერდა მხარს საპრეზიდენტო კანდიდატურაზე?! რაც შეეხება ივანიშვილის გადაწყვეტილებას, მისი მხრიდან განათლების მინისტრზე გათვლების გაკეთებას, ნამდვილად მომგებიან მდგომარეობაში აყენებს მთლიანად კოალიციას. შრომისმოყვარეობის გარდა ახალგაზრდა და გაწონასწორებული პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლებას არ აწყენს. უკანა პლანზე მარგველაშვილის გადასვლის მუდმივი მცდელობა მის არაამბიციურობას უსვამს ხაზს. თუმცა, ამბიციებით ცნობილი საკაკაშვილის პირველკაცობაც ჩრდილში დააყენა მილიარდერმა პრემიერმა. იცის თუ არა პოლიტიკა მარგველაშვილმა? დასვეს ეს კითხვა. უცნობად წოდებულმა გაჩეჩილაძემ ამაზე ისაუბრა: ,,ამ ქვეყანაში თუ ვინმეს პოლიტიკა ესმის, ეს გიორგი მარგველაშვილი გახლავთ. კარგად მახსოვს, ცხონებული ზურაბ ჟვანიაც კი აზრს მას ეკითხებოდა ხოლმე (მეზობლები იყვნენ და საღამოობით სტუმრობდა). ასე რომ, იმაზე საუბარი – თითქოს მან პოლიტიკა არ იცის, ტყუილია.“ თუნდაც პოლიტიკა არ იცოდეს, საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდს მაინც ვერ შექმნის. გვქონდა პრეცედენტი, როცა საქართველოს ჰყავდა აღიარებული პოლიტიკოსი პრეზიდენტად, თუმცა დიდი პოზიტივი შევარდნაძის მართველობას არ მოუტანია. ,,მეურნე“ პრეზიდენტი ბევრად უფრო წაადგება ახლა საქართველოს, ვიდრე–პოლიტიკოსი, რადგან ივანიშვილის პრემიერობის თანადროულად პრეზიდენტის პერსონა ყველა შემთხვევაში ჩრდილში მოსაქცევად არის განწირული.

გიორგი თევზაძე: „თურქეთი არამეგობრულად იქცევა“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

– ბატონო გიორგი, ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის ქალაქ ანტალიაში აღმართეს ოკუპირებული დე ფაქტო აფხაზეთის დროშა. რამდენად მეგობრულად მიგაჩნიათ თურქეთის ასეთი ქმედება?

– ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს კიდევ ერთი მორიგი არამეგობრული ნაბიჯია, რაც, სამწუხაროდ, უკვე ტენდენციის სახეს იღებს. წინა პერიოდში ადგილი ჰქონდა დე ფაქტო აფხაზეთის კულტურის დღეების ჩატარებას, რაზეც ჩვენი მხრიდან რეაგირების წერილი გავავრცელეთ. ვთხოვეთ ადეკვატური რეაგირება როგორც თურქული, ასევე ქართული მხარის მხრიდან. მოვითხოვდით ქართული მხარის ოფიციალური პოზიციის დაფიქსირებას. მიგვაჩნია, რომ მასზე რეაგირება არ განხორციელდა ადეკვატურად, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომი არამეგობრული მოქმედებების განხორციელება თურქეთის მხრიდან, რაც ბოლოს ანტალიაში დე ფაქტო აფხაზეთის დროშის აღმართვითაც გამოიხატა. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდათ, საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში რომ გამოგვეცხადებინა ოფიციალური მხარდაჭერა თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ქურთებისადმი და აღგვემართა ქურთების თავისუფლების დროშა? დარწმუნებული ვარ, ამას საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა. ამ პირობებში გასაკვირი და აღმაშფოთებელია თურქეთის მხარის ქმედებები და ოფიციალური თურქეთის დუმილი ამ საკითხზე. რეალობა ერთია, თუ თურქეთი გამოკვეთილად არ დააფიქსირებს პოზიციას და მომავალში არ უზრუნველყოფს საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, დუმილი განხილულ უნდა იქნეს ოფიციალური თურქეთის პოზიციად, რასაც, ბუნებრივია, ადეკვატური საერთაშორისო რეაგირება მოჰყვება. გვსურს, გვჯეროდეს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დროულ და პრინციპულ პოზიციას დაიკავებს ამ ფაქტის მიმართ და განახორციელებს არა მარტო პროტოკოლით დადგენილ მოქმედებებს, არამედ უზრუნველყოფს მომავალში მსგავსი პრეცედენტების თავიდან აცილებას. ეს საკითხი საყურადღებოა და საგანგაშოა იმ ფონზე, როცა ქართველთა ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ამჟამად თურქეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ქართული ისტორიული ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მიმდინარეობს მიზანმიმართული ქართული კვალის წაშლის მცდელობები, მით უმეტეს, ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციებით, შეინიშნება თურქული მხარის ცალკეული ჯგუფების მცდელობები, თურქულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დოკუმენტებში აჭარა წარმოაჩინონ თურქეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად. ყველა ამ მცდელობას სჭირდება საფუძვლიანი შესწავლა და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რათა დროულად მოხდეს ყველა გაუგებრობის თავიდან აცილება და კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება.

გარდა აღნიშნულისა, შესწავლას საჭიროებს ყველა ის ფაქტი, რომელიც უკავშირდება თურქეთში მცხოვრები და მომუშავე საქართველოს მოქალაქეების უფლებრივ მდგომარეობასა და ცალკეული თურქული ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების მხრიდან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ქართველებისადმი. პერიოდულად ვრცელდება არაერთი ფაქტი, რომელიც ტრეფიკინგის ნიშნებს შეიცავს და არ ხდება სათანადოდ ამ ფაქტების შესწავლა. ეს საკითხი ქართული სამოქალაქო სექტორისა და შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების უშუალო სფეროს განეკუთვნება, მით უმეტეს, ეს თემა წლების მანძილზე მუდმივად აქტუალურია.

– ბატონო გიორგი, რუსეთის მხრიდან მუდმივად ხორციელდება მცოცავი ანექსია, რაზეც თქვენ წინა პერიოდშიც რამდენჯერმე გააპროტესტეთ. ასევე სისტემატურად ხდებოდა და ხდება მომიჯნავე სოფლის მცხოვრებლების გატაცება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაყვანა, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლების შევიწროება და ტერორი. მუდმივად და მიზანმიმართულად ხორციელდება საოკუპაციო საზღვრის გაფართოება ისე, რომ ქართული მხარე ჯერჯერობით ვერ ახერხებს ამ პროცესის შეჩერებას. რას გვეტყოდით აღნიშნულ ფაქტზე?

– რუსეთის პოზიცია მრავალი წლის განმავლობაში არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი მთავრობა იყო თუ არა. როგორც წინა წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რუსეთის ეს იმპერიული ამბიცია, დიდი ალბათობით, არც მომავალში შეიცვლება ქართული მხარის ნებისმიერი პოზიციის, მათ შორის, ლოიალობის მიუხედავად. სამწუხაროდ, გვავიწყდება, რომ რუსეთი მოქმედებდა და მოქმედებს თავისი სტრატეგიული ამოცანების შესრულებისთვის, რომელზეც რუსეთის ხელისუფლებამ წლების წინ განაცხადა და გამოთქვა მწუხარება საბჭოთა იმპერიის დარღვევის ფაქტზე. წლების მანძილზე რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ამ იმპერიის აღდგენისა და გავლენის სფეროების თანამედროვე გადანაწილების სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება. ამდენად, აუცილებელია, ქართული პოლიტიკა ადეკვატურად პასუხობდეს რუსეთის ამ სტრატეგიულ ინტერესებს. ამდენად, ქართული დიპლომატია სრულად უნდა პასუხობდეს ქართული მიწების დაცვისა და დეოკუპაციის ამოცანებს, ისე, რომ შესრულდეს ჩვენი ეს სტრატეგიული ამოცანები, თანაც არ აღმოვჩნდეთ რუსეთის იმპერიული გეგმების მსხვერპლი. ეს ამოცანა მაღალი დიპლომატიის ხელოვნებას საჭიროებს, რათა არ აღმოვჩნდეთ არც ერი უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ყველა მცირე ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს. ამდენად, აუცილებელია, პირველ რიგში პრინციპული და შეუვალი პოზიციის დაფიქსირება, მიზანმიმართული დეოკუპაციის პროცესის განხორციელება ქართულ მიწებთან დაკავშირებით უშუალოდ რუსეთთან და ყველა საერთაშორისო ინსტიტუტთან ურთიერთობისას, ყველა საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენება ქართული სტრატეგიული მიზნებისათვის, ჩვენი მეგობარი ქვეყნების ჯგუფის უფრო აქტიური ჩართულობა ამ პროცესებში. რასაკვირველია, ეს ამოცანები უფრო შედეგიანი იქნება, თუ მთელი შიდა პოლიტიკური ენერგია ამ მიზნებს მოხმარდება და არა შიდა დაპირისპირებებს. აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს ყველა საერთაშორისო მანდატი, სადაც ქართული მხარის მესიჯები იქნება მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, პრინციპული და დიპლომატიური. ასევე არ შეიძლება ოკუპაციის ზოლის გაფართოების არც ერთი, უმცირესი ფაქტის დატოვებაც კი ადეკვატური რეაგირების გარეშე.

– ადვოკატთა კორპუსმა ჩაატარა საპროტესტო ღონისძიება საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, რომლის დანიშნულება იყო იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება, რომელიც ადვოკატს შეუზღუდავს პროფესიულ უფლებებს და არათანაბარ პირობებში ჩააყენებს ბრალდების მხარის უფლებებთან შედარებით. თქვენ, როგორც ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რა შეფასებას მისცემდით ამ საკითხს?

– სრულიად ვუჭერ მხარს ადვოკატთა კორპუსის ერთიან, სრულიად სამართლიან პოზიციასა და იმ აღშფოთებას, რომელიც უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, კერძოდ, 111-ე მუხლის მეორე ნაწილში შესატან ცვლილებებს, რომლითაც ადვოკატს მნიშვნელოვნად ეზღუდება საპროცესო უფლებები. წინა ხელისუფლებამ განახორციელა ადვოკატთა კორპუსის სისტემური, ინსტიტუციური დევნა, რისი შედეგიცაა 157 დაპატიმრებული და გასამართლებული ადვოკატი. ეს მსოფლიოში უპრეცედენტო ციფრია. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის შეფასებით, ადვოკატის უფლებები საქართველოში ძალიან დაკნინებულია. მხარეთა თანასწორობის პრინციპი დარღვეულია და ეს უნდა გამოსწორებულიყო. აღნიშნული შეფასება 2012 წლის 3 ნოემბერს გაკეთდა, როცა საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა. პირველ ეტაპზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეს შენიშვნები გაითვალისწინა. მისი ინიციატივით მომზადდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პაკეტი, თუმცა შემდგომ კანონპროექტი პარლამენტმა დაბლოკა.

ნაძალადევი „ჰომოფობია“

გასულმა ორმა კვირამ, როგორც მოსალოდნელი იყო კიდევ ერთი დიდი ვნებათაღელვის ფონზე ჩაიარა. ძნელი სათქმელია ვინ ისარგებლა ამ ვნებათაღელვით რეალურად, მაგრამ ფაქტი ერთია, – გასულ კვირაში საქართველომ და ქართველმა ერმა, თავისი „შეუწყნარებელი“ ხასიათის გამო, დასავლეთის რისხვა კიდევ ერთხელ დაიმსახურა. დასავლელი „მგობრების“ განსაკუთრებული გულისწყრომა კი, იმ „სიძულვილმა“ განაპირობა, რომელსაც ქართველი ხალხი თურე არატრადიციული ორიენტაციის მქონე მოქალაქეების მიმართ ავლენს.

სავარაუდოდ საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა არ იციან ან არ უნდათ იცოდნენ, რომ ქართულ გენში ტოლერანტობა ავტომატურადაა კოდირებული და ამის უამრავი ისტორიული მაგალითიც არსებობს.

ვერავინ ვერ გაიხსენებს საქართველოს ისტორიიდან ისეთ ფაქტს, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები საზოგადოების გამოხატული სიძულვილის ობიექტები გამხდარიყვნენ.

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში, მაშინ როცა მამათმავლობა კანონით ისჯებოდა, მთელმა თბილისმა იცოდა გოგირდის აბანოებში განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების თავშეყრის ადგილი და მათ მიმართ, საზოგადოების ორგანიზებულ ნაწილს არასდროს პროტესტი არ გამოუთქვამს, რომ აღარაფერი ვთქვათ სიძულვილსა და ძალადობაზე. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის შეიძლება უცხო და არცთუ სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდეს, როცა გაიგებს, რომ თბილისელ კინტოთა აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ განსხვავებული ორიენტაციის მატარებელი იყო და ამის გამო მათ არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ საზოგადოებაში ინტეგრირებულნი ყოფილიყვნენ. ეს მაგალითები მათ გასაგონად მინდა ვთქვა, ვინც დაინტერესებულია, რომ საქართველო და ქართველი ხალხი, მსოფლიოს თვალში მოძულეებად და ჰომოფობებად წარმოაჩინოს.

გარდა ზემოთნახსენები მაგალითებისა, როგორც მსოფლიო კულტურა, ასევე ქართული კულტურაც იცნობს მაგალითებს, როცა ამა თუ იმ ჟანრის მოღვაწეებიც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მატარებელთა ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათ მიმართ საზოგადოებას ზიზღი არასდროს ჰქონია, პირიქით, ასეთმა ადამიანებმა თავიანთ ჟანრში ხშირ შემთხვევაში ეპოქებიც კი შექმნეს და ხალხის უდიდესი სიყვარული დაიმსახურეს.

ასე, რომ მითი ქართველი ერის „ჰომოფობიურობის“ შესახებ, აშკარად თითიდან გამოწოვილია და შესაძლოა მართლაც გრანტების მოსაპოვებლადაა მოგონებული.

თუმცა, რადგან ისტორიაზე ვსაუბრობთ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ჩვეულებრივი ორიენტაციის მქონე პიროვნებებმა, განსხვავებული ორიენტაციის მატარებლებმაც თავიათი ადგილი იცოდნენ და შესაბამისად თანაცხოვრებასაც (დღევანდელი ტერმინით – „კოაბიტაცია“), უპრობლემოდ ახერხებდნენ.

თუ საქართველოს ისტორიაში არაა მაგალითი განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანების სიძულვილისა, ასევე არაა მაგალითი, რომ ისინი როდესმე ქუჩაში საჯაროდ გამოსულიყვნენ და საზოგადოებისთვის „გაფერადებისკენ“ მოეწოდებინოთ. ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც დღეს, საზოგადოებას წარსულშიც სათანადო რეაქცია ექნებოდა.

ისმება კიდევ ერთი ლეგიტიმური კითხვა, თუ ქართველი ხალხი ასეთი მოძულეა, რატომ არ ფიქსირდება წლის სხვა დღეებში განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებზე თავდასხმის და ფიზიკური ზემოქმედების ფაქტები?

ამ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს, ქართველი საზოგადოებრიობა შემწყნარებელია ასეთი პიროვნებების მიმართ და მათი პირადი ცხოვრებაც აბსოლუტურად დაცულია, მაგრამ მაშინ, როდესაც ისინი ქუჩაში მოწოდებით გამოდიან, საზოგადოება ამას, მის ცნობიერებაზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობად აფასებს და არცთუ უსაფუძვლოდ.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას 17 მაისს ქართველი ხალხის დიდი ნაწილის რეაქცია დაგეგმილ გეი-აღლუმთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საზოგადოება, რომ „ჰომოფობიური“ იყოს, მაშინ ის განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები, ვინც რუსთაველზე აქციის ჩატარებას გეგმავდა, გარეთ დღესაც ვერ გამოვიდოდნენ.

რაც შეეხება კიდევ ერთ აჟიტირებულ თემას, ის, აღნიშნული აქციის დროს პოლიციელთა ქმედებას ეხება, რომელიც როგორც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და თავად ლგბტ აქციის ორგანიზატორებმაც დაგმეს.

პოლიციის მიმართ მათი ძირითადი პრეტენზია იმაში გამოიხატებოდა, რომ ძალოვნებმა წესრიგი „ვერ უზრუნველყვეს,“ თუმცა ყველა, ვინც ამ აქციის მიმდინარეობას თვალს ობიექტურად ადევნებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად აქციის მონაწილეებზე, – ერთხმად აღნიშნავდა, რომ დაოუკიდებლობის მოპოვების დღიდან პირველად, საქართველოს ეღირსა პოლიცია, რომელიც მოტივირებულია არა ხალხის დასჯით, არამედ მისი დაცვით. სწორედ ამის პირდაპირი დემონსტრირება იყო 17 მაისი აქცია, როდესაც პოლიციამ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, აქციის მონაწილეები, განურჩევლად მათი შეხედულებებისა თუ სექსუალური ორიენტაციისა, მაქსიმალურად დაიცვა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თავიდან აიცილა უმძიმესი დაპირისპირება თავისი უმძიმესი შედეგებით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაახლოებით ოცი ათასი დემონსტრანტისგან ნებისმიერი მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილება პოლიციამ, ვანო მერაბიშვილისთვის კარგად აპრობირებული ხელკეტების, რეზინის ტყვიების, მხუთავი გაზის, წყლის ჭავლისა და მასობრივი დაპატიმრებების გარეშე შეძლო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ასევე ითქვას, რომ მსგავსი ტიპის აქცია ვანო მერაბიშვილის დროს, აუცილებლად მსხვერპლით, უამრავი ადამიანის დასახიჩრებითა და რამდენიმე ასეული ადამიანის დაპატიმრებით დამთავრდებოდა.

უფრო მეტიც, ზოგიერთმა „დემოკრატიის მსახურმა“ არასამთავრობო ორგანიზაციამ თუ პირმა, შინაგან საქმეთა მინისტრს სისუსტედ ის ჩაუთვალა, რომ მან სპეცრაზმი, რეზინის ტყვიები და მომწამვლავი გაზი არ გამოიყენა. როგორც ჩანს სწორედ ამიტომ იყო ვანო მერაბიშვილი მათ თვალში ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ ყველა შესაძლებლობის დროს, ის საკუთარ ხალხს, დაგეშილ და კბილებამდე შეიარაღებულ ზონდერებს უსვედა.

ის, რომ ასეთი კატეგორიის ხალხმა, აქციის დღესვე იერიში პოლიციაზე მიიტანა, სწორედ ახალი ქართული პოლიციის ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ. სხვათა შორის, პოლიციელთა მხრიდან ხალხის უსაფრთხოებაზე ზრუნვის აშკარა მაგალითის იგნორირება ვერც უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ მოახერხა და მათი ქმედება საკუთარ განცხადებაში პოზიტიურად შეაფასა.

ასე, რომ ქართველმა ხალხმა, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პირველად, ნახა რომ პოლიცია, რომელიც ხელფასს ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებიდან იღებს, რეალურად ამავე ხალხის უსაფრთხოებას და არა მათ დატერორებას ემსახურება.

რაც შეეხება სიტყვა „სიძულვილს“, რომლითაც გარკვეული პიროვნებები თუ ორგანიზაციები ასე აპელირებენ და მას ლამის ერის მენტალურ სენად ახასიათებენ:

– საინტერესოა რა იყო 2011 წლის 26 მაისი. იყო თუ არა ეს სიძულვილი ხელისუფლებისა საკუთარი მოსახლეობის მიმართ. უფრო მეტიც, 2011 წლის 26 მაისი იყო ხელისუფლების და პირადად მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ართუ სიძულვილი, არამედ ზიზღი საკუთარი ერის მიმართ.

ან ვინ იტყვის, რომ ციხეებში პატიმრებს ცოცხებით ზედმეტი სიყვარულის გამო აუპატიურებდნენ.

სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებებია სიძულვილის გამოხატვის კლასიკური ნიმუში, თუმცა რამდენადაც მახსოვს, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დღეს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების ბედზე გოდებენ, სააკაშვილის და მერაბიშვილის მიერ საკუთარი მოსახლეობის სიძულვილის ფაქტებზე ხმა არ აუმაღლებიათ.

გამოდის, რომ თუ ვინმეს სძულს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანი ეს კატასტროფაა, ხოლო თუ ვინმეს სძულს ჩვეულებრივი ორიენტაციის ადამიანი და უფრო მეტიც, მას ქუჩაში განუკითხავად ხოცავს, – ეს დემოკრატიის გამოვლინება ყოფილა.

ასეთი აზრის გატარების დაკვეთის მქონე ადამიანები, რა თქმა უნდა პირველ იერიშს სწორედ იმ უწყებაზე მიიტანდნენ, ვინც ჩვეულებრივი ორიენტაციის მოქალაქეებს, ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მხუთავი გაზით, რეზინის ტყვიებით და წყლის ჭავლით არ გაუსწორდა.

დემოკრატიის და სიძულვილის თავისებური და ორმხრივი სტადარტების ფორმულით გაგებაა ის ფაქტორი, რის გამოც ბოლო წლების განმავლობაში, დასავლეთი, ქართულ საზოგადოებაში ნდობას კატასტროფული ტემპებით კარგავს და თუ ის საქართველოსთან მიმართებაში მსგავს უგუნურ პოლიტიკას გააგრძელებს, გავლენას არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონშიც, საერთოდ დაკარგავს.

ქართველი ხალხის კიდევ ერთი იმედგაცრუება დასავლეთის მხრიდან, სწორედ რომ 17 მაისის ამბების შეფასებას მოჰყვა.

დასავლეთის აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილის პროტესტის ფონზე, 72-მა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანმა და მათმა მხარდამჭერებმა აქციის ჩატარება ვერ შეძლეს, მაშინ როცა ასიათასიან აქციებს მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი დაუნდობლად უსწორდებოდა. არცერთი ასეთი ფაქტის დროს, ქართველ ხალხს, არც დიპლომატიური კორპუსის მხრიდან და არც საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან არ მოუსმენია ისეთი კრიტიკული და მკვეთრი გამონათქვამები, როგორიც 17 მაისის მოვლენების შეფასებისას მოისმინეს.

სწორედ ეს მიდგომები განაპირობებს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას დასავლური ფასეულობების მიმართ, რომლებიც თავად დასავლეთში ნამდვილად ღირებულია, თუმცა საქართველოში ამ ფასეულობების ყველაზე დამახინჯებული ფორმით დამკვიდრებას ცდილობენ.

კარგი იქნება ევროპელმა დიპლომატებმა შეაფასონ იგივე 26 მაისი, 7 ნოემბერი, 6 მაისი და განაცხადონ იყო თუ არა ეს სიძულვილის გამოხატულება საკუთარი ხალხის მიმართ.

რაც შეეხება სექსუალური უმცირესობების პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უზრუნველყოფას საქართველოში, ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაცული იყო საუკუნის წინათ და დაცული იქნება მომავალშიც. ეს ქართველი ხალხის მენტალიტეტში ზის და ამ გენეტიკურ კოდს, ქართველი ხალხის ცნობიერიდან ვერავინ წაშლის.

გასულ კვირაში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, პრემიერის მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრადიცია ახალმა ხელისუფლებმა მოსვლისთანავე დაამკვიდრა და ისინი მედიასთან შეხვედრებს რეგულარულად და რაც მთავარია, სააკაშვილისგან განსხვავებით, წინასწარ შეთანხმებულ-გაფილტრული კითხვების გარეშე მართავენ, საზოგადოების ნაწილის გაუგებრობა და შეიძლება ითქვას ნეგატიური რეაქციაც კი, გამოიწვია პრემიერის განცხადებამ ყოფილი ხელისუფლების საშუალო და დაბალი რგოლის ჩინოვნიკთა ამნისტირების შესახებ.

საერთოდ, კი, დარჩა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ბევრი ნიუანსია გასარკვევ-გასათვალისწინებელი, რადგან ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ამ ამნისტიით შესაძლოა ისეთმა პირებმაც ისარგებლონ, რომელთა სისხლიან ქმედებებზეც წინა რეჟიმი იდგა.

რაც შეეხება ქვეყნის პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს და მოქმედებებს, შეიძლება ითქვას, რომ მან ტრადიცია არც გასულ კვირაში დაარღვია, და საზოგადოება თავისი შეხვედრებითა და გამონათქვამებით კიდევ ერთხელ გააოცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ თონგსინგ თამავონგთან სააკაშვილის შეხვედრა იყო.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იტყობინება, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე და დიპლომატიური ურთიერთობების გააქტიურებაზე ისაუბრეს.

მაშინ როცა ადამიანი ახერხებს და მის უშუალო მეზობელთან და მსოფლიოს ზესახელმწიფოსთან თანამშრომლობა და დიპლომატიური ურთიერთობები ჩიხში შეჰყავს და ამავდროულად ბატონ თონგსინგ თამავონგს საქართველო-ლაოსს შორის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ესაუბრება, ეს ფაქტი ალბათ ზედმეტ კომენტარს და შეფასებას აღარ საჭიროებს, თუმცა ნამდვილად საინტერესოა რამდენი უჯდება პრეზიდენტის თითქმის ერთკვირიანი „საქმიანი ვიზიტები“ ქართველ გადასახადის გადამხდელებს და არის თუ არა გამართლებული ეს ხარჯი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსა და ლაოსს შორის დიპლომატიური ურთიერთობები მართლაც გაღრმავდება.

ალექსანდრე კაპანაძე
სააგენტო ნიუსპრესი

თურქეთში მიმდინარე პროტესტს ორი ადამიანი ემსხვერპლა

თურქეთის მასშტაბით გამართულ საპროტესტო აქციებს მსხვერპლი მოჰყვა. „სქანი ნიუსი“ ორგანიზაცია „ამნესთი ინთერნეიშენალზე“ დაყრდნობით იუწყება, რომ სტამბულის ტაქსიმის მოედანზე საპროტესტო აქციას ორი ადამიანი ემსხვერპლა.

შაბათის მონაცემებით, საპროტესტო აქციის მონაწილე ათასამდე ადამიანია დაკავებული, ხოლო ასზე მეტი – დაშავდა.

ბოლო ორი დღის განმავლობაში, თურქეთის მასშტაბით, 90 საპროტესტო აქცია გაიმართა. დემონსტრანტები ქვეყნის ხელისუფლების გადადგომას მოითხოვენ.

როგორც ცნობილია, სტამბულის ქუჩებში გამოსული ათასობით თურქი ტაქსიმის რაიონში მდებარე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქციას აპროტესტებს. სტამბულში, გუშინ, ტაქსიმის მოედანზე პოლიციამ მომიტინგეების დასაშლელად წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. შეტაკებების შედეგად სულ მცირე 138 ადამიანი დაშავდა, ათეულობით დემონსტრანტი კი დაკავეს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი, რეჯეფ ტაიპ ერდოღანი აღიარებს, რომ პოლიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. „სამწუხაროდ, ჩვენი უსაფრთხოების ძალების ქმედებაში იყო შეცდომები, განსაკუთრებით ცრემლსადენი გაზის გამოყენების შემთხვევაში. მინისტრთა კაბინეტი ამ საკითხს სწავლობს“, – აღნიშნა ერდოღანმა.

დედაქალაქ ანკარაში დემონსტრანტები ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გადადგომას ითხოვენ. ანკარაში აქცია სტამბულის აქციის სოლიდარობის ნიშნად დაიწყო. როგორც უცხოური მედია წერს, აქციის მონაწილეთა რაოდენობა 20 000-მდეა და დე-

მონსტრანტების რიცხვი თითქმის ყოველ წუთს იზრდება. ანკარის გუბერნატორის გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის დასაცავად დამატებით სამხედრო ძალები გამოიძახეს.

„გეზის პარკი ერთ-ერთი პატარა ნაწილია იმ სამარცხვინო ქმედებების, რასაც ერდოღანის მთავრობა სჩადის. ერდოღანი დიქტატორია. ჩვენ მის გადაგომას ვითხოვთ“, – აცხადებენ აქციის მონაწილეები.

შს მინისტრის მუამერ გიულერის განცხადებით, დაკავებულია 1000-მდე ადამიანი. ეს საპროტესტო აქციები ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბურია.

მრავალი ახალგაზრდა დემონსტრანტი ხელისუფლებას ქვეყნის ისლამიზაციაში დებს ბრალს. ამავე დროს, პრემიერ-მინისტრის მოწინააღმდეგები აცხადებენ, რომ გეზი სტამბულის ერთ-ერთი ყველაზე გამწვანებული ადგილია და მისი განადგურება დაუშვებელია.

პრემიერ-მინისტრი კი მიჩნევს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხელს შეუწყობს ქალაქში მოძრაობის განტვირთვას და იგი არ აპირებს დასახული გეგმის შეცვლას.

ოპოზიციის ლიდერთა განცხადებით, მას შემდეგ, რაც პოლიციამ ტაკსიმის მოედანი დატოვა, ხალხმა თავი გამარჯვებულად იგრძნო.

ამჟამად საპროტესტო აქცია როგორც პარკის გადარჩენის ასევე პოლიტიკური მოთხოვნებით იმართება.

დემონტრანტები აცხადებენ, რომ ერდოღანი „მართავს როგორც მეფე“ და მას ამის უფლება უნდა ჩამოერთვას.

ამ ფონზე, ასობით ადამიანი შეიკრიბა ნიუ-იორკის ცენტრში, რათა რეჯეპ-ტაიპ ერდოღანის გადადგომის მოთხოვნით თურქეთის ქუჩებში გამოსული დემონსტრანტებისთვის მხარდაჭერა გამოეცხადებინათ.

აქცია უოლ-სთრითთან ახლოს წარიმართა. მრავალი დემონსტრანტი თურქეთის დროშის, წითელ და თეთრ ფერებშია გამოწყობილი.

აქციის მონაწილეებს ხელში ტრანსფარანტები უჭირავთ, სადაც წარწერები ინგლისურ და თურქულ ენებზეა გაკეთებული. ისინი თურქეთის ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებენ.

გ. მ.

რა ალტერნატივა ამოქმედდება კულტურის დაფინანსებაში?

ეკა ირემაშვილი

რა ალტერნატივა ამოქმედდება კულტურის დაფინანსებაში? ამ საკითხზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეხვედრა გაიმართა, სადაც განხილულ იქნა თემა კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედების'შესახებ.

– შეხვედრა კულტურის სფეროში მოღვაწე პირებთან სამომავლო ინიციატივის გაცნობის მიზნით გაიმართა, რომელიც ეხება „კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედებას“, კონკრეტულად კი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით, – განაცხადა მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილმა.

ამ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი და მანანა ბერიკაშვილი. შეხვედრაზევე შედგა ორი პრეზენტაცია კონკრეტული მექანიზმების შესახებ, როგორიც არის საქველმოქმედო საქმიანობის სახელმწიფო ხელშეწყობის სისტემები და ეროვნული ლატარიის საკითხი.

მანანა ბერიკაშვილმა კულტურის სამინისტროში უკრაინის დელეგაცია მიიღო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კიევის რადის დეპუტატი, კულტურისა და სპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ნიკულშინი, უკრაინის სახალხო დეპუტატი ალექსანდრე ბრიგინცი, კიევის ნაციონალური აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბოგდან სტრუტინსკი. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მინისტრის მოადგილესთან უკრაინულმა მხარემ ურთიერთთანამშრომლობისა და სამომავლო პარტნიორობის საკითხები განიხილა.

კულტურის სამინისტრომ ჩეხეთის კულტურის მინისტრის ვიზიტს უმასპინძლა. სტუმრები პირადად გურამ ოდიშარიამ მიიღო. ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაციას ხელმძღვანელობად ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ალენა ჰონაკოვას ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები იყვნენ მარკეტა ჩევჩიკოვა მინისტრის კაბინეტის უფროსი და მინისტრის პრესსპიკერი, პეტრ ჰნიზდო საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი და ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ივან ესტრაბი. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო, სადაც განიხილეს ურთიერთთანამშრომლობისა და მომავალი პარტნიორობის საკითხები. გურამ ოდიშარიასთან მიღების შემდეგ, ვიზიტის ფარგლებში, დაიგეგმა ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაციის სტუმრობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქრის ფონდსა და ეროვნულ გალერეაში დავით კაკაბაძის ექსპოზიციაზე.

გურამ ოდიშარია მეუფე იაკობს შეხვდა. შეხვედრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერილ პროექტებთან დაკავშირებით დაიგეგმა. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საპატრიარქოსთან თანამშრომლობაა. ამ თანამშრომლობის ფარგლებში დაიბეჭდა პატრიარქის ქართულენოვანი ეპისტოლეების ინგლისური თარგმანი, ასევე სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა პატრიარქის საგალობლები 5000-იანი ტირაჟით. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას, პატრიარქის ქორეპისკოპოსი და ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელ გიორგი დონაძესთან ერთად ეწვია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში სამინისტროს თანამშრომლებისათვის ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი. სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის მიერ გამართული მუსიკალური საღამოს შემდეგ ეს უკვე მეორე კონცერტია, რომელიც სპეციალურად კულტურის სამინისტროს წევრებისთვის მოეწყო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტამ“ და საფორტეპიანო ტრიო „სემპრემ“.

სამინისტროს მხარდაჭერით სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა, რეგიონების კულტურის მხარდაჭერის მიზნით, ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებელში კონცერტი გამართა. კონცერტში მონაწილეობდნენ კონსტანტინე ვარდელი (პირველი ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილი (მეორე ვიოლინო), ნოდარ ჟვანია (ალტი), ოთარ ჩუბინიშვილი (ვიოლონჩელო), ირინე ხოშტარია-ჯაიანი (ალტი), ლიზა რამიშვილი (ჩელო), ანი ტაკიძე (ფორტეპიანო). კონცერტზე შესრულდა იოჰანეს ბრამსის სიმებიანი კვარტეტი №2, ანტონინ დვორჟაკის საფორტეპიანო კვინტეტი, არნოლდ შონბერგის სექსტეტი „გასხივოსნებული ღამე“.

ამავე პროგრამით სიმებიანი კვარტეტი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარდგა მსმენელის წინაშე. 16 ივნისს კი დაგეგმილია კვარტეტის კონცერტი ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სკოლაში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებმა და მაინის ფრანკფურტის ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ყამბეგაშვილმა არასრულწლოვანთა №11 დაწესებულება მოინახულეს.

„საქართველოს სამუსიკო სკოლების მხარდასაჭერად“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს მუსიკალური ინსტრუმენტები და ლიტერატურა გადაეცათ.

ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ყამბეგაშვილი პირადად გაესაუბრა არასრულწლოვანთა დაწესებულების დირექტორს, ბატონ ტატო ქელბაქიანს, ასევე მსჯავრდებულებს და დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში გერმანიიდან არასრულწლოვანთა №11 დაწესებულებას სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტს გამოუგზავნის, რადგან მსგავსი ღონისძიებები მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ემსახურება.

სოფელ ძველ აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში, ტრადიციულად, ჩატარდა უდიდესი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას 120 წლისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „კონსტანტინობა“. დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აბაშის კულტურის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „„ჰარირა“ და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ანანური“. ღონისძიებაზე გაჟღერდა მწერლის ხმის აუდიოჩანაწერი. დღესასწაულს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი, მიწვეული სტუმრები. დამსწრე საზოგადოებამ კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცენტრალურ პარკში არსებული კონსტანტინე გამსახურდიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო. სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორობა აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა, აბაშის საკრებულომ და გამგეობამ ითავეს.

მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში გაიმართა საქართველო-აზერბაიჯანის მრავალწლიანი თანამეგობრობისა და თანამეზობლობისადმი, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ჰეიდარ ალიევის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ფოტოგამოფენა, შედგა წიგნის „ჰეიდარ ალიევი საქართველოში“ პრეზენტაცია და მოეწყო ფილმის ჩვენება. ღონისძიების ორგანიზატორი მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი იყო, ხოლო მხარდამჭერები – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სოკარი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში. საღამოზე მიწვეული იყვნენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, რეინტეგრაციის სამინისტრო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, მუზეუმები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

გოგი დოლიძეს აკაკი წერეთლის პრემია მიენიჭა

ეკა ირემაშვილი

კინომცოდნესა და პროფესორს გოგი დოლიძეს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია მიენიჭა. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში სტუდია „პიონერფილმა“ აკაკი წერეთლის სახელობის პრემიაზე წარადგინა ის ადამიანები, რომლებმაც აღადგინეს ვასილ ამაშუკელის უკვდავი ფილმი ,,აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა რეჟისორსა და კინომცოდნეებს ნანა ჯანელიძეს, მარინა კერესელიძეს, ნინო ნატროშვილსა და გოგი დოლიძეს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია საზეიმო ვითარებაში გადასცა.

– ეს ჩემთვის დიდი პატივია. აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის მინიჭება სწორედ იმ ფილმისთვის, რომელიც ქართულ კინოში ერთ-ერთი უმთავრესია, ყველასთვის საამაყო იქნებოდა, – განაცხადა გოგი დოლიძემ.

„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ 1912 წლის ქართული ფილმია, რომელიც რეჟისორმა ვასილ ამაშუკელმა გადაიღო. ეს არის პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი. როგორც ფილმის ავტორი ვასილ ამაშუკელი თავის მოგონებაში წერს, ფილმის გადაღების ინიციატივა ეკუთვნოდათ პედაგოგ სამსონ დათეშიძეს და ჟურნალისტ ლადო ბზვანელს. მათ ამ ინიციატივით ტიხონ ასათიანს, რომელიც ქუთაისის კინოთეატრის ერთ-ერთი მფლობელი იყო, 1912 წლის ივლისში მიმართეს, მოგზაურობის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე. ასათიანმა გამომიძახა და მკითხა, ვიკისრებ თუ არა ასეთ საპასუხისმგებლო საქმის ხელის მოკიდებას. მე სიხარულით დავთანხმდი, გავიფიქრე: „რა ბედნიერება მეწვია ჩვენს საქართველოში გადავიღებ ისეთ სურათს, სადაც ჩვენი დიდი მგოსანი იქნება აღბეჭდილი“, – წერს ვასილ ამაშუკელი, რომელიც იმ დროისათვის ტიხონ ასათიანთან მუშაობდა.

– ვასილ ამაშუკელი იყო ამ ნამუშევრის რეჟისორიც, ოპერატორიცა და მემონტაჟეც. მან აკაკის მოგზაურობის გადაღებისას 1600 მეტრამდე კინოფირი დახარჯა. მოგზაურობის შემდეგ მან ფირი სოფიო ივანიცკაიას ლაბორატორიაში ჩააბარა გასამჟღავნებლად. ეს პროცედურა შეასრულა ივანიცკაიას თანამშრომელმა ალექსანდრე დიღმელოვმა. მაღე ამაშუკელს გადაუგზავნეს გამჟღავნებული კინომასალა. მონტაჟის შემდეგ კინოფირი 1600-დან 1200 მეტრი დარჩა. ფილმის პრემიერა 1912 წლის სექტემბერში ქუთაისში გაიმართა, – აღნიშნა კინომცოდნემ.

ფირის ორიგინალი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივში კი 1954 წელს გადაღებული ასლი ინახება. კინორეჟისორ ნანა ჯანელიძის, კინომცოდნეების მარინა კერესელიძისა და ნინო ნატროშვილის ინიციატივით 2010 წელს დასრულდა ფილმის აღდგენა და მისთვის სპეციალურად კომპოზიტორმა მიშა მდინარაძემ მუსიკა შექმნა. აღდგენილი კინოფილმის აღდგენილი ციფრული ასლი, პოზიტივი და ნეგატივი იმავე წელს საქართველოს ეროვნულ არქივს შესანახად გადაეცა.

აღდგენილი ფილმის პრეზენტაცია სამი წლის წინ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა, სადაც ფილმის დახურული ჩვენება შედგა. პრეზენტაციაზე კულტურის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ფილმის მულტიმედიური კომპაქტდისკიც.

– ციფრულ მატარებელზე ფილმი გერმანიაში გადაიტანეს, ციფრული რესტავრაცია კი ავსტრიაში მოხერხდა. დამზადდა კინონეგატივი და დაიბეჭდა ახალი ასლი, საბოლოო სამუშაოები თბილისში ჩატარდა, განხორციელდა მასალის სიჩქარისა და ფერის კორექცია, – აღნიშნავს გოგი დოლიძე.

საქართველოს კინოცენტრის წარმომადგენლებმა და დოკუმენტური ფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ რესტავრაციის ინიციატორებმა კინოფილმის აღდგენილი ციფრული ასლი, პოზიტივი და ნეგატივი შესანახად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს გადასცეს.

– ეროვნულ არქივს გადაეცა პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის აღდგენილი კინოფირი, როგორც ნეგატივი, ისე პოზიტივი. ფირის აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის. ამავე პროექტის ფარგლებში დამზადდა ფილმის ციფრული ასლი, რაც ხელმისაწვდომს გახდის ამ უნიკალურ კადრებს კინომკვლევრებისა და ფართო საზოგადოებისთვის, – მიაჩნია ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს.

პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ქრონიკულ-დოკუმენტური ფილმის აღდგენაზე ავტორებმა 2 წლის განმავლობაში იმუშავეს, ხოლო ავსტრიაში მისი რესტავრაცია 6 თვე მიმდინარეობდა. კრებულად ქცეული ახალი პროექტი სამი ნაწილისგან შედგება: დივიდი დისკზე განთავსებულია ორიგინალი და ციფრული აღდგენილი და რესტავრირებული ვერსია, გზამკვლევი და მულტიმედიური დანართი.

– ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ქართული კინოს საწყისად ითვლება. იგი ასახავს აკაკი წერეთლის 12-დღიან მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება 1954 წელს კინოისტორიკოს კარლო გოგოძის მიერ აღდგენილი ვერსია. ახლად რესტავრირებულ და აღდგენილ ფილმში კი შევიდა 2-წუთიანი უცნობი ეპიზოდი, რომელიც თავის დროზე კარლო გოგოძემ არ შეიტანა თავის ვერსიაში. ამ ფილმმა ცოცხლად შემოგვინახა აკაკისა და ზეიმის მონაწილეთა სახეები, ძველი რაჭული ფერხული. კადრებმა აღბეჭდა ხალხის სიყვარული მგოსნისადმი, რომელიც ხელში ატაცებული დაჰყავდათ. გარდა ამისა, ფილმმა შემოგვინახა XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს ყოფა და ეთნოგრაფიული სურათი, – აღნიშნა კინომცოდნემ.

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩერა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

კალაძე ლეგენდებმა გააცილეს

კალაძის მეგობრები – მილანი 1:3

თბილისი. დინამო არენა

1:0 დემეტრაძე (26პ), 1:1 ინძაგი (43პ), 1:2 შევჩენკო (71), 1:3 ვერხოვოდი (74)

კალაძის მეგობრები (სასტარტო): ალექსანდრ შოვკოვსკი, ალექსანდრ ვაშჩუკი, ფაბიო გროსო, ფაბიო კანავარო, ფერნანდო კოუტუ, ლევან კობიაშვილი, დავით მუჯირი, გიორგი დემეტრაძე, შოთა არველაძე, ლუკა ტონი, ალექსანდრე იაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ზვიად სტურუა, ზაზა ზამთარაძე, ლევან ცქიტიშვილი, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, არჩილ არველაძე, რატი ალექსიძე, გოგა გახოკიძე, უმით დავალა, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე, სერგეი რებროვი, მიხეილ ყაველაშვილი, ჰაქან შუქური

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე, ფათიჰ თერიმი

მილანი (სასტარტო): სებასტიანო როსი, მასიმო ოდო, ფრანკო ბარეზი, კახა კალაძე, პაოლო მალდინი, მეტიუ ფლამინი, დარიო შიმიჩი, ფედერიკო ჯუნტი, სერჟინიო, ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი

შეცვლაზე შევიდნენ: ვალერიო ფიორი, კახა კალაძე, იბრაჰიმ ბა, ზვონიმირ ბობანი, დანიელე მასარო, ანჯელო კარბონე, ჯუზეპე ფავალი, სტეფანო ერანიო, როკე ჟუნიორი, პიეტრო ვერხოვოდი, უმითი

მწვრთნელები: კარლო ანჩელოტი, ჩეზარე მალდინი

– საქართველოსა და იტალიაში, კახამ ფეხბურთის ეპოქა შექმნა, – ეს სიტყვები „მილანის" ვიცე-პრეზიდენტს – ადრიანო გალიანის ეკუთვნის.

ვერ დავიჩემებთ, რომ კალაძე იტალიელებისთვის ლეგენდა იყოს, მაგრამ საქართველოში მსგავს წარმატებას ჯერ ვერავინ მიაღწია. მის გასაცილებლად უცხოელი ლეგენდები ჩამოვიდნენ, ასეთები კი პატარებს არ სწყალობენ. კახა კალაძემ 31 მაისს დაამტკიცა რომ დიდია. არ დავიწყებთ იმ ფეხბურთელების რეგალიებზე ჩამოთვლას, რომლებმაც კახას პატივი სცეს და გაცილების მატჩში ითამაშეს – სახელგვარები ყველაფერს ამბობენ.

31 მაისს კი მოედანზე ყველაფერი იყო – ბრძოლა, ჟინი, სიხარული, სინანული, ცრემლი...

ვერც იმას გეტყვით, ოდესმე კიდევ თუ შეიკრიბება ლეგენდარული ბარეზი-მალდინის დაცვის დუეტი. ორივე მათგანი თბილისში, იმ ნომრიანი მაისურებით იყვნენ სათამაშოდ გამოსული, რომელიც „მილანს" მოხმარებიდან ამოღებული აქვთ და პერსონალურად ამ ლეგენდებს ეკუთვნით.

მშვენიერი იყო ფაბიო კანავარო, პაოლო მალდინიც საიმედოდ იდგა, ბარეზის ასაკი უფრო ეტყობოდა, პენალტიც „აიკიდა", პიპო ჩვეულად, თამაშგარის ზღვარზე თამაშობდა, ყველა ბურთისთვის იბრძოდნენ ფერნანდო კოუტუ და როკე ჟუნიორი, ყველაზე უხუცესმა, 54 წლის პიეტრო ვერხოვოდმა გოლიც გაიტანა, „შევამ" რამდენჯერმე ჩაიქროლა ძველებურად, ლუკა ტონის გოლის გატანა ძალიან სწყუროდა, იბრაჰიმ ბა მაყურებელზე თამაშობდა, ზვიად სტურუამ ერთი ისეთი „სეივი" გააკეთა მსოფლიოს მოქმედი საუკეთესო მეკარეები მოაწერდნენ ხელს... ზვიადის გარდა სხვა ქართველი ფეხბურთელებიც ბევრს ცდილობდნენ, ლევან კობიაშვილი გამორჩეული იყო – ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელი სხვებზე მეტს დარბოდა, ყველგან იყო, ფლანგებზე ჩვეულად ირჯებოდნენ ალექსანდრე იაშვილი და გიორგი დემეტრაძე... ხარვეზებიც იყო – ასაკი, წონა თავისას შვებოდა, თუმცა საღამო შედგა...

რაც მთავარია დადგმული არ იყო, როგორც ასეთ მატჩებს ჩვევია, მაყურებელმა ბევრი გოლი და შოუ ვერ იხილა – მოედანზე ლეგენდები იბრძოდნენ... კარგად ორგანიზებული საღამო იყო.

ტაიმები 40-წუთიანი იყო, პირველი ნახევარი 1:0 დასრულდა, ხოლო მეორეში „მილანმა" 3 ბურთი გაიტანა – ანუ კახამ ორივე ტაიმი წააგო, მაგრამ მაინც მოგებული დარჩა. თავიდან დემეტრაძემ პენალტი გაიტანა, შემდეგ ინძაგიმ მიიღო იგივეს უფლება და შანსი ხელიდან არ გაუშვა, შევჩენკომ 13-14 მეტრიდან გაიტანა, ხოლო მესამე გოლზე უკვე გითხარით – ვერხოვოდის იყო.

კახა კალაძის გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ, მოედანზე ადრიანო გალიანი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდნენ, მათ სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს მიმართეს. რომლებმაც კალაძის პიროვნებაზე ისაუბრეს. მათი თქმით, კახამ წარმატებას, თავისი საუკეთესო თვისებებით მიაღწია. ივანიშვილმა და გალიანიმ კალაძეს ისეთივე წარმატება უსურვეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორიც მას საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჰქონდა.

ბიძინა ივანიშვილი:

– დღეს ჩვენ ლეგენდარული ფეხბურთელი გავაცილეთ აქტიური ფეხბურთიდან. ჩემი და კალაძის პირველი შეხვედრა მაშინ მოხდა, როცა განცხადება გავაკეთე პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე.კახა შემხვდა და მითხრა, რომ ჩემს გვერდით იქნება და რომ ჩემთან ერთად დაიცავდა ქვეყნის ღირსებას და იზრუნებდა მის მომავალზე. მან ძალიან რთული გზა გამოიარა, თუმცა მან შეძლო და მიაღწია ცხოვრებაში მთავარს-გამარჯვებს! ეს ყველაფერი თავისი პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით მოიპოვა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტული წარმატებისთის, საქართველოს სამსახურისთვის და გვერდში დგომისთვის. მას ვუსურვებ, რომ ასეთივეწარმატებული იყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკიდანაც ისეთივე ტაშით გააცილონ როგორიც დღეს ამ სტადიონზე ისმოდა.

ადრიანო გალიანი:

– დღეს ყველანი სენტიმენტალურები ვართ. დიდი ფეხბურთიდან კახას ვაცილებთ. ის გმირია, რომელმაც ფეხბურთის ეპოქა შექმნა, როგორც საქართველოში, ისე იტალიაში. ჩვენ ერთად დიდი და რთული გზა გამოვიარეთ. მიხარია რომ აქ კახა ასე უყვართ და აფასებენ.

ივანიშვილის და გალიანის შემდეგ მიკროფონთან დღის გმირი, კახა კალაძე მივიდა. მისი გამოსვლა ძალიან ემოციური იყო.

კახა კალაძე:

– ჩემთვის დღევანდელი დღე ძალიან ემოციურია. მადლობა ყველას ვინც მოხვედით და სიხარული ჩემთან ერთად გაიზიარეთ. ჩემი კარიერის განმავლობაში ყოველთის გვერდით მედექით. გულშემატკივრებო, ჩემი წარმატება თქვენი დამსახურებაა. მადლობა მწვრთნელებს,"მილანის" ხელმძღვანელობას და რა თქმა უნდა, გულშემატკივარს. მადლობა ჩემს ოჯახს, შვილებს. დედა ჩემს არც ერთ თამაშს არ დასწრებია, მაგრამ ახლა, ის ჩემთან ერთად იმყოფება „დინამოს" სტადიონზე. დედა დიდი მადლობა რაც ჩემთვის გაკეთე. დედა ძალიან მიყვარხარ.

მატჩის შემდეგ, ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებთან წარსდგნენ ახლო წარსულში „მილანის" შესანიშნავი მოთამაშეები: დანიელე მასარო, მასიმო ოდო და ბოლოს, განუმეორებელი პაოლო მალდინი. ქართველთგან კი პარტივი შოთა არველაძემ, მატჩის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, დავით მუჯირმა და რა თქმა უნდა, თავად კახა კალაძემ დაგვდეს:

დანიელე მასარო:

– თბილისში არასოდეს ვყოფილვარ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვედი. „კალა" მართლაც განსაკუთრებული ადამიანია, ფანტასტიკური საფეხბურთო კარიერის შემდეგ, კვლავ წარმატებულად აგრძელებს ცხოვრებას, ოღონდ სრულიად განსხვავებულ სფეროში. დღევანდელი სავსე სტადიონიც ამის დასტურია.

დავით მუჯირი:

– პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჟურნალისტებს. ჩვენი მუშაობის დაწყებიდანვე იგრძნობოდა თქვენი დიდი თანადგომა და უთქვენოდ, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა ამ ღონისძიების ორგანიზება. ასევე დიდი მადლობა ჩვენს მეგობრებს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ. როცა კახამ თავისი გაცილების ორგნიზება მთხოვა, ვუთხარი, რომ საქმეს ისე მოვეკიდები, თითქოს საკუთარ გაცილებას ვაკეთებდე. სასიხარულოა, რომ ეს დღე შედგა. ყველაფერი კარგად დაიწყო და დადებითი ემოციებით დამთავრდა. ვფიქრობ, ქართველ გულშემატკივრებს დიდ ხანს ემახსოვრებათ ეს მშვერნიერი საღამო. მადლობა სტადიონზე მოსულ ყველა ქომაგს, მადლობა სტურებს. სხვათა შორის, ამ ღონისძიებაზე ერთგვარი არაოფიციალური რეკორდიც დამყარდა, თამაშამდე 5 დღით ადრე, ფაქტობრივად, ბილეთები აღარ დარჩა. ასევე მადლობას ვუხდი საორგანიზაციო ჯგუფს, რომლებსაც ამ დღეებში თითქმის არ ეძინათ და ურთულესი სამსახური გასწიეს.

შოთა არველაძე:

– მთავარი ის არის, რომ კახა გამარჯვებული ადამიანი და ყველასათვის სამაგალითოა. მან არა-ერთი რთული პერიოდი გამოიარა ცხოვრებაში და არა მარტო ფეხბურთში, ამიტომ ის იმის მაგალითიცაა თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ადამიანი დიდ პრობლემებს და საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგაც ასე წარმატებულად გააგრძელოს ცხოვრება და მოღვაწეობა. მადლობა მას, რომ ყველას დაანახა, როგორ ფასდება ჩვენში ღირსეული ადამიანი, ნიჭი და შრომა. მადლობა სტუმრებს. მერწმუნეთ, ასეთი რანგის ხალხის ჩამოყვანა იოლი საქმე არ არის. ამას დიდი ავტორიტეტი სჭირდება. კახა დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ელჩი იყო ევროპაში და მან ეს ყველასფერი დაიმსახურა.

მასიმო ოდო:

– რამდენჯერმე ვიყავი საქართველოში იტალიის ნაკრებთან ერთად, მაგრამ სტადიონზე ამდენი ხალხი არ მახსოვს. „კალა" დიდებული ფეხბურთელი იყო და ნამდვილად დაისახურა ეს ზეიმი.

პაოლო მალდინი:

– ბედნიერები ვართ, რომ „კალას" გაცილებაზე ჩამოვედით. სავსე ტრიბუნები კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, თუ როგორ უყვართ გულშემატკივრებს კახა. მოხარული ვარ, რომ მისი მეგობარი მქვია.

კახა კალაძე:

– მინდა მადლობა გადავუხადო სრულიად საქართველოს, ჩემს ერთგულ გულშემატკივარს. მარალაც ძალიან ემოციური დღეა ჩემთვის. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორ ვუყვარვარ ქართველ ქომაგს. მადლობა მათაც, ვინც დღეს სტადიონზე მოსვლა ვერ მოახერხა და პირდაპირ ეთერში უყურა მატჩს. მადლობა თქვენ ჟურნალისტებს, უთქვენოდ ასეთ წარმატებას ვერ მივაღწევდი. სწორედ ქართველი ხალხის დიდმა სიყვარულმა შემაძლებინა ყველაფერი. სხვაგვარად არაფერი გამომივიდოდა. როცა „მილანის" თუ ნებისმიერი სხვა კლუბის მაისურით გამოვდიოდი, ვიცოდი, რომ ჩემს უკან საქართველო იდგა, მაქსიმალურად ვცდილობდი ჩემი ქვეყნის სახელი გამეტანა ევროპაში და ყველას გაეგო საიდან ვიყავი.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და საუკეთესო ოთხიანი ოფიციალურად გავაცილეთ სპორტული არენიდან. კალაძე ახლა თავის შესაძლებლობებს პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიყენებს.

შედეგები

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

მექსიკა-ნიგერია	2:2
ლიბანი-უგანდა	3:0
პანამა-პერუ	1:2

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

რეალი-ოსასუნა	4:2
ბარსელონა-მალაგა	4:1
გრანადა-ხეტაფე	2:0
დეპორტივო-სოსიედადი	0:1
ლევანტე-ბეტისი	1:1
მალიორკა-ვალიადოლიდი	4:2
რაიო-ბილბაო	2:2
სარაგოსა-ატლეტიკო	1:3
სევილია-ვალენსია	4:3
სელტა-ესპანიოლი	1:0

საბოლოო ცხრილი:

1.ბარსელონა	38	32	4	2	115-40	100
2.რეალი	38	26	7	5	103-42	85
3.ატლეტიკო	38	23	7	8	65-31	76
4.სოსიედადი	38	18	12	8	70-49	66
5.ვალენსია	38	19	8	11	67-54	65
6.მალაგა	38	16	9	13	53-50	57
7.ბეტისი	38	16	8	14	57-56	56
8.რაიო	38	16	5	17	50-66	53
9.სევილია	38	14	8	16	58-54	50
10.ხეტაფე	38	13	8	17	43-57	47
11.ლევანტე	38	12	10	16	40-57	46
12.ბილბაო	38	12	9	17	44-65	45
13.ესპანიოლი	38	11	11	16	43-52	44
14.ვალიადოლიდი	38	11	10	17	49-58	43
15.გრანადა	38	11	9	18	37-54	42
16.ოსასუნა	38	10	9	19	33-50	39
17.სელტა	38	10	7	21	37-52	37
18.მალიორკა	38	9	9	20	43-72	36
19.დეპორტივო	38	8	11	19	47-70	35
20.სარაგოსა	38	9	7	22	37-62	34

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

საბადელი-ელჩე	0:0

გერმანია. თასი – ფინალი

ბაიერნი-შტუტგარტი	3:2

ჰუსეთი. თასი – ფინალი

ცსკა-ანჟი	1:1(4:3პ)

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სტ.გალენი	1:0
გრასჰოპერსი-ლოზანა	4:1
სერვეტი-ლუცერნი	3:4
სიონი-ციურიხი	4:2
თუნი-იანგ ბოიზი	2:2

ჩეხეთი. გამბჰინუსლიგა

ბანიკი-იაბლონეცი	0:1
იიჰლავა-სლავია	3:1
ჰრადეც კრალოვე-პლზენი	0:3
ბრნო-სლოვაკეკო	1:3
სიგმა-ბუდეოვიცე	1:0
ლიბერეცი-პრჟიბრჟამი	1:1
სპარტა-დუკლა	3:0

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-მალმიო	1:3
ჰელსინბორგი-ატვიდაბერგი	3:0
ჰეკენი-ელფსბორგი	0:1
მიალბი-ჰალმშტადი	5:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიკი-კუუპიო	1:2

აშშ. მლს

ტორონტო-ფილადელფია	1:1
ნიუ იორკი-ვანკუვერი	1:2
კოლამბუსი-ჰიუსტონი	1:1
კანზასი-მონრეალი	1:2
კოლორადო-დალასი	2:2
სოლტ ლეიკი-სან ხოსე	3:0
ჩივასი-სიეტლი	0:2

ბრაზილია. სერია ა

ატლეტიკო(პ)-ფლუმინენსე	2:2
ბოტაფოგო-კრუზეირო	2:1
სანტოსი-გრემიო	1:1
ვიტორია-ვასკუ	2:0
გოიასი-კურიტიბა	1:1
კორინთიანსი-პონტე პრეტა	1:0

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

რაფაელა-სან ლორენცო	0:0
გოდოი-სარანდი	3:0
ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი	0:0

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფი

ინდიანა-მაიამი	91:77

სერიის ანგარიში: 3:3

ამხანაგური მატჩი

ქალები

გერმანია-ფინეთი	67:74

ჩოგბურთი

ჰოლან გაოსი

კაცები

ფერერი-ანდერსონი	6:3;6:1;6:1

ქალები

კერბერი-კუზნეცოვა	4:6;6:4;3:6

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფები

ჩიკაგო-ლოს ანჯელესი	2:1

სერიის ანგარიში: 1:0

პიტსბურგი-ბოსტონი	0:3

სერიის ანგარიში: 0:1

ზესტაფონს სახანძრო დახმარება დასჭირდა

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ვებგვერდის ცნობით, მიმდინარე წლის 29 მაისს, დავალიანების გადაუხდელობის გამო, კომპანია „ენერგო-პრომ" ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ამის გამო მოედნები ვეღარ ირწყვება და გაზონის გახმობის პროცესი დაიწყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ბოლო დღეებში იმერეთში საკმაოდ ცხელა, 1 ივნისს დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის მწვანე საფარზე საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა - მაღალი ტემპერატურის გამო ნიადაგში წყლის დეფიციტი იყო, ბალახმა ფერი შეიცვალა და მისი განადგურების პროცესი დაიწყო...

შექმნილი კატასტროფული ვითარებით შეშფოთებული მარგველ გულშემატკივართა კლუბის ხელმძღვანელები სასწრაფოდ დაუკავშირდნენ მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელობას, რომელთა საქმეში ჩართვის შემდეგ, სტადიონზე გამოჩნდა სახანძრო სამსახურის თავკაცი და ამავე სამსახურის ეკიპაჟი. სწორედ მეხანძრეთა დახმარების წყალობით მოხერხდა ყველაზე ცუდის - მინდვრის მთლიანად განადგურების პროცესის დროებით შეჩერება. სტადიონის ადმინისტრაცია და გუნდის გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით ხსენებული პრობლემის მოგვარება უახლოეს დღეებში მოხერხდება.

ახლა სამწვრთნელო შტაბის შესახებ: გორის „დილადან" წასული ვალდას ივანაუსკასი „ზესტაფონის" მწვრთნელი იქნება – ასეთი ცნობა გავრცელდა კულუარებში.

ლიტველმა სპეციალისტმა წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის ჩაიბარა „დილა", მერე კი კონტრაქტი დაუმთავრდა ამ გუნდთან. „დილაში" დაფინანსების მხრივ პრობლემები იყო და ალბათ ამის გამო ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაგრძელება.

უმწვრთნელოდ დარჩენილ „დილაში" კი, კვლავ გაურკვევლობაა.ჯერჯერობით ოფიციალურად არც მათი მთავარი მწვრთნელის და არც წამსვლელ-მომსვლელი ფეხბურთელების ვინაობა არ სახელდება, თუმცა არის ვერსიები, რომელთა შორის ყველაზე რეალური ერთია. კულუარულად საქართველოს ვერცხლის პრიზიორს გიორგი დევდარიანი გაწვრთნის.

რაც შეეხება სხვა სიახლეებს, როგორც ჩანს ამ კლუბში ცვლილებები მრავლადაა დაგეგმილი. „დილას" უკავშირებენ მცველებს – თეიმურაზ ღონღაძესა და გიორგი ხიდეშელს. არ არის გამორიცხული გორელები რუსული „კრასნოდარის" მეკარე, ნუკრი რევიშვილითაც გაძლიერდნენ.

მზიურმა საკალათბურთო ტურნირებს უმასპინძლა

ბავშვთა გასართობ ქალაქ „მზიურში" საინტერესო და მაშსტაბური საკალათბურთო ღონისძიებები ჩატარდა. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისა და საქართველოს კალთბურთის ფედერაციის ორგანიზებით „მზიურის" კეთილმოწყობილ საკალათბურთო მოედანზე 2 ტურნირი გაიმართა.

ერთი ტურნირი 2-2-ზე კალათბურთსი მოეწყო, რომელშიც თამაშები1 ფარზე მიმდინარეობდა. რაც შეეხება ტურნირს 4-4-ზე კალათბურთში, აქ თამაში ჩვეულებრივ, მთელს მოედანზე მიმდინარეობდა. ორივე ტურნირში ასაკი განსაზღვრული იყო – 1998 წლამდე დაბადებულები.

შეჯიბრებები ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ახალგაზრდა კალათბურთელებმა გამარჯვებისკენ სწრაფვის დიდი ლტოლვა გამოავლინეს. 2-2-ზე კალათბურთში პირველობა არავის დაუთმო „კარდინალი 1"-მა, რომელმაც ფინალში „დინამო 2"-ს 10:6 მოუგო.

4-4-ზე საკალათბურთო ტურნირში ჩემპიონი გახდა „დინამო", რომელმაც ნახევარფინალში „კარდინალი" დაამარცხა, ხოლო ფინალში „რუსთავს" 17 ქულის სხვაობით – 39:22 მოუგო.

გამარჯვებული გუნდები თასებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

2-2-ზე ძუჩის კალათბურთი

პირველი რაუნდი: კარდინალი-ჰიუნდაი 2 8:6; მართვე 2-რუსთავი 6:8; აკადემია 2-დინამო 4:6; ჰიუნდაი-დინამო 2 1:7; აკადემია-სოხუმი 2 3:4; კარდინალი 2-რუსთავი 2 5:3;

მეოთხედფინალები: კარდინალი-რუსთავი 1 9:7; დინამო-სოხუმი 8:4; მართვე-დინამო 2 7:8; სოხუმი 2-კარდინალი 2 5:3;

ნახევარფინალი: კარდინალი-დინამო 10:8; დინამო 2-სოხუმი 2 10:3;

ფინალი: კარდინალი-დინამო 2 10:6;

4-4-ზე კალათბურთი

ა ჯგუფი: მართვე-დინამო 32:28, მართვე-აკადემია 30:2; დინამო-აკადემია 27:18;

ბ ჯგუფი: კარდინალი-ჰიუნდაი 33:6; კარდინალი-რუსთავი 34:5; სოხუმი-კარდინალი 24:23; ჰიუნდაი-რუსთავი 11:38; სოხუმი-ჰიუნდაი 23:28; რუსთავი-სოხუმი 18:9;

ნახევარფინალი: მართვე-რუსთავი 35:26; კარდინალი-დინამო 16:40;

ფინალი: დინამო-რუსთავი 39:22.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

როგორ აღინიშნა საქართველოში ბავშვთა დაცვის დღე?

ეკა ირემაშვილი

პირველ ივნისს საქართველო ორ მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს – წმიდა ნინოს საქართველოში შემობრძანებასა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ნინოობასთან დაკავშირებით ყველა მოქმედ ტაძარში საზეიმო ღვთისმსახურება ჩატარდა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე კი სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა.

ორგანიზაციამ ,,საქართველოს ბავშვები“ და სავაჭრო ცენტრმა ,,თბილისი მოლი“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი, კერძოდ მინდობით აღზრდაში განთავსებული 70 ბავშვისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებისთვისაც.

– ამ ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მინდობით აღზრდის, როგორც ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის პოპულარიზება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შემთხვევაში, რადგან ბავშვთა უფლებათა კონვენციის მუხლი 20 პირდაპირ გვეუბნება – „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოში აღზრდა“. ჩვენი ღონისძიება გაიმართა ,,თბილისი მოლში“ მეორე სართულზე, სადაც წარმოდგენილი იყო ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბავშვების ნახატების გამოფენა, ბავშვებს ადგილზეც შეეძლოთ, მხატვართან ერთად ჩართულიყვნენ ხატვით აქტივობაში, ასევე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ წარმოდგენილ იქნა მინი საბალეტო წარმოდგენა, ბავშვები ჩაერთნენ გასართობ-შემეცნებით თამაშებში ზღაპრის გმირების მონაწილეობით, მათ შეეძლოთ სახის მოხატვა, წარმოდგენილი იყო თეატრალიზებული სპექტაკლი, ღონისძიების განმავლობაში ბავშვებს მხარდამჭერმა კომპანიებმა ,,ბარამბო“, ,,ზედაზენი“ და ,,კენდი“ უმასპინძლეს ტკბილეულით, ხოლო ღონისძიების შემდეგ ბავშვებს გადაეცათ საბავშვო წიგნები ჰიპერმარკეტ ,,კარფურისაგან“, – განაცხადა „საქართველოს ბავშვების წარმომადგენელმა ლეღა კლდიაშვილმა.

მისივე თქმით, „საქართველოს ბავშვები“ არის არასამთავრობო, არაკომერციული ტიპის ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზნებია ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების გაწევა, რომელთაც ეს მომსახურება ესაჭიროებათ.

– „საქართველოს ბავშვები“ ასევე აწარმოებს კვლევებს, უწევს კონსულტაციას და ატრენინგებს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე საზოგადოებრივ და სამთავრობო ორგანოებს ორგანიზაციის მისიისათვის შესაბამის სფეროში. ჩვენ ტრენინგიც ჩავატარეთ, რომლის მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდებს, მოახდინონ იმ პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების აქტივაცია, რომლებიც მათ დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში, ცხოვრებისეული სტრატეგიის გარკვევასა და პროფესიულ ორიენტაციაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, ,,საქართველოს ბავშვების“ ორგანიზებით, მთაწმინდის პარკში მოეწყო გასართობი პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, რომლის მიზანი გახლდათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ბავშვებისათვის ჩატარდა გასართობ-შემეცნებითი აქტივობები ,,გასართობი ავტობუსისა“ და ,,მულტი-პულტის სამყაროს“ გმირების მონაწილეობით, კომპანია ,,თოლია“ ბავშვებს გაუმასპინძლდა ნაყინით, ღონისძიების შემდეგ ბავშვებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები „საქართველოს ბავშვებისაგან“ და კომპანი ,,სმაილისაგან“, – აცხადებს ლელა კლდიაშვილი.

როგორც ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ წარმომადგენელი აცხადებს, ორგანიზაცია ახორციელებს ოჯახების დახმარებას ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

– გაეროს ბავშვთა ფონდის, ფონდ „ღია საზოგადოების“ ფსიქიკური ჯანმრთელობის ინიციატივისა და პოლონური ორგანიზაცია ,,ჩვენი სახლის“ ფინანსური მხარდაჭერით ,,საქართველოს ბავშვები“ 2009 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე, მათ შორის, ოჯახის მხარდამჭერი სერვისები მიწოდება სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარებისათვის – 2009 წლის მაისში გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში; ოჯახურ სასამართლო შემთხვევებში ფსიქოლოგის ჩართვა სოციალური მომსახურების სააგენტოს მომართვის საფუძველზე; ადრეული განვითარების პროგრამა: გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია. ორი წლის წინ გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების ფარგლებში, ბავშვთა ზრუნვის რეფორმის მხარდასაჭერად, ,,საქართველოს ბავშვები“ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობს შემდეგი მიმართულებებით: რეინტეგრაციისა და პრევენციის საგანგებო ფონდი (0-6 წელი), რომლის მიზანია დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა და ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია; ბავშვების ბავშვთა სახლში განთავსების პრევენცია და მათი ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების ხელშეწყობა; ბავშვებისა და მათთან დაკავშირებული პირების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა – დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში გადასაყვანად; გადაუდებელი მინდობით აღზრდის (0-დან 6 წლამდე) სერვისის განვითარება; გადაუდებელი მინდობით აღმზრდელების მოძიება-შერჩევას, მომზადება-პროფესიული განვითარება და ოჯახების პირველადად აღჭურვა ბავშვის მოვლისათვის საჭირო ინვენტარითა და საშუალებებით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრების პროფესიული განვითარება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის დღის ცენტრთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პირველ ივნისს დაგეგმილ ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ღომიძე, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები.

ამავე დღეს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, რომელიც უნარშეზღუდულ ბავშვთა ინტეგრაციას ისახავს მიზნად, ღონისძიებები კუს ტბაზე მოეწყო. ყველა ბავშვს მიეცა შესაძლებლობა, ერთად დაეხატა, ეთამაშა ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გაეკეთებინა სათამაშოები და დაკავებულიყო სხვადასხვა აქტივობით იქ მისულ ბავშვებთან ერთად.

კუს ტბაზე წარმოდგენილი იყო სპორტული შეჯიბრებები, კონცერტი, სოს ბავშვთა სოფლის მხიარული ავტობუსი, ხრიდოლი, გამოფენა, ილუზიონისტი, წიგნების კუთხე, ეკო სკოლა – მცენარეების გამოფენა-გაყიდვა, ზღაპრის გმირები, საბავშვო თამაშები

უდედმამო და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ბავშვებს „კლუბ 71“-ისგან საჩუქრები ერგოთ.

– „კლუბი 71“ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს უდედმამო და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების პატარებს განსაკუთრებული საჩუქარი მოუმზადა. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ველნესცენტრში მათთვის სპეციალური სპორტულ-გასართობი ღონისძიებები მოეწყო. პატარებს კლუბში სახალისო სიურპრიზები ელოდებოდათ: პროფესიონალმა ინსტრუქტორებმა მათ კლდეზე ცოცვა შეასწავლეს, ბავშვებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და სპეციალურად მათთვის დამზადებული ტკბილეული დააგემოვნეს, მხატვარ-დიზაინერმა კი მხიარული ნახატებით გაალამაზა კლუბის პატარა სტუმრების სახეები, – აღნიშნა ღონისძიების კოორდინატორმა მზია შარაშიძემ.

– „კლუბი 71“ ახლად გახსნილი ველნესცენტრია და ჩვენი პირველი საჩუქარი საზოგადოების ყველაზე ძვირფასი წევრების, ბავშვებისთვის იქნა განკუთვნილი. სასიხარულოა, რომ მოგვეცა მათთვის ამ დღის გალამაზებისა და გახალისების შესაძლებლობა. ეს ჩვენი პირველი საქველმოქმედო აქციაა და ვფიქრობ მომავალში უფრო ხშირად შევძლებთ მსგავსი ტიპის ღონისძიებების ორგანიზებას, – განაცხადა „კლუბ 71“-ის გენერალურმა დირექტორმა თეა შენგელიამ.

მზია შარაშიძის თქმით, კომპანია „რედიქსის“ მართვის ქვეშ არსებული ველნესცენტრი „კლუბი 71“ ჯანმრთელობისა და სილამაზის შენარჩუნებისთვის აუცილებელ ყველა მომსახურებას აერთიანებს.

– „კლუბი 71“ ოთხსართულიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსია, სადაც თავმოყრილია საცურაო აუზი, სპაცენტრი სარელაქსაციო და სამასაჟე ზონებით, თერმული აბაზანებითა და საუნებით, უახლესი ტრენაჟორებითა და სპორტული ინვენტარით აღჭურვილი ფიტნესდარბაზი და საცოცი კედელი ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისთვის. გარდა ამისა, კლუბში განთავსებულია აუზი და გასართობი ზონა ბავშვებისთვის, სილამაზის სალონი, ლაუნჯი და ბისტრო, სადაც მომხმარებელს ნატურალური წვენებისა და ჯანსაღი საკვების დაგემოვნების შესაძლებლობა აქვს.

ბავშვთა საერთაშორისო დღე ეროვნულმა გალერეამაც იზეიმა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ ბავშვებს, ტრადიციულად, მრავალფეროვანი პროგრამით უმასპინძლა.

– ეროვნულმა გალერეამ მოზარდები მიიწვია დავით კაკაბაძისა და ნიკო ფიროსმანის ექსპოზიციების ფარგლებში შექმნილ შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. საგამოფენო სივრციდან მოზარდებმა გადაინაცვლეს გალერეის ეზოში და მიღებული შთაბეჭდილებებით მოხატეს დიდი პანო, აგრეთვე ჯგუფურად და ინდივიდიალურად შექმნეს სხვადასხვა კოლაჟები და აბსტრაქტული ნამუშევრები, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

10 არასრულწლოვანი პრობაციონერი კინოფილმ „ფორსაჟის“ ჩვენებაზე დაპატიჟეს

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი 10 არასრულწლოვანი პრობაციონერი კინოთეატრ „ამირანში“ კინოფილმ „ფორსაჟის“ ჩვენებაზე დაპატიჟა.

პირობით მსჯავრდებულებთან ერთად, კინოსეანსს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე დაესწრო. მინისტრის პირველმა მოადგილემ ახალგაზრდა პრობაციონერებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და ნანახი ფილმის შესახებ მათი შთაბეჭდილებები მოისმინა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების აქტიურ ჩართვას კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებებში პრობაციის ეროვნული სააგენტო მომავალშიც გეგმავს.

პირველი

მეიდანზე სიათნოვობა აღინიშნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლისში ყოველი მაისის ბოლო კვირა დღეს ტარდება. ამჯერად ეს დღესასწაული 2 ივნისს ჩატარდა. ღონისძიება უკვე დაახლოებით ასი წელია აღინიშნება.

– ამ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარეს სომეხმა და ქართველმა პოეტებმა, ოვანეს თუმანიანმა და იოსებ გრიშაშვილმა. სიათნოვობა თბილისის, როგორც მრავალკულტურული და ტოლერანტული ქალაქის სიმბოლოა, რადგან წარმოშობით სომეხი პოეტი და მუსიკოსი წერდა როგორც სომხურ, ასევე ქართულ, თურქულ და სპარსულ ენებზეც, – განაცხადა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა.

თბილისში დაგეგმილ ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე სიათნოვას შემოქმედებაზე ბათუმში ჩატარებულ ღონისძიებაზე ისაუბრეს. ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სკოლის მუზეუმში შედგა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, მიძღვნილი სიყვარულის დიდი მგოსნისა და აშუღის – სიათნოვას ხსოვნისადმი. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის კონსულის მოადგილე არმენ გრიგორიანი, „სურბ ფრკიჩ“ ეკლესიის მორწმუნენი, სომხური ინტელიგენციის, სპორტის წარმომადგენლები, მშობლები, სტუმრები.

საღამოზე სხვადასხვა ენაზე გაიჟღერა სიათნოვას ლექსებმა და სიმღერებმა, ასევე დიდი აშუღისადმი მიძღვნილმა ლექსებმა. კონცერტში მონაწილეობდნენ ეკლესიის ბავშვთა გუნდი „აღბიურ“ და ბათუმის სომხური სკოლის მოსწავლეები. საღამოს მსვლელობისას მადლიერების სიტყვებით მიმართეს „XXI საუკუნის“ გიმნაზია-სასწავლებლის“ მასწავლებელს მარიეტა ჰაბეთიანს, ასევე სომხური სკოლის მასწავლებელს სათენიკ დანიელიანს, რომელთა ძალისხმევით მოსწავლეები გამოვიდნენ სიათნოვას სხვადასხვა ენაზე დაწერილი ლექსებით.

საღამო ღამაზი გამოსვლებით დაამშვენეს ბათუმის სომხური სკოლის მოსწავლეებმა ლუსინე და ეთერ არშაკიანებმა, ტიგრან პოღოსიანმა, მარიამ მნოიანმა, მარინა ხაჩატრიანმა და კონცერტის ყველაზე პატარა მონაწილემ მარგარიტ დანიელიანმა.

დამსწრეებს სიათნოვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ესაუბრა „სურბ ფრკიჩ“ საეკლესიო და „აღბიურ“ ბავშვთა გუნდების ხელმძღვანელი რუზანა ჰოვანისიანი. აუდიტორიის ოვაციები დაიმსახურა „სურბ ფრკიჩ“ საეკლესიო და „აღბიურ“ ბავშვთა გუნდების მიერ სიათნოვას სიმღერების შესრულებამ. კონცერტის ინიციატორმა, ბათუმის „სურბ ფრკიჩ“ ეკლესიის სულიერმა მოძღვარმა მღვდელმა არარატ გუმბალიანმა აკურთხა ყველა დამსწრე და ღონისძიება შეაფასა ნათელ ვარსკვლავად, რომელმაც თავისი ადგილი ჰპოვა ყოველი მონაწილის გულში.

სიჯანვოხდი



1. ნიავი; 2. გამოუწვავი აგური; 3. აბრეშუმის ან შალის მკვრივი ქსოვილი; 4. რუმინული ფული; 5. დიდი წარმატება, გამარჯვება; 6. ოსური ცეკვა; 7. სახლკარი ლათინურ ამერიკაში; 8. ვანესა ...; 9. ზეგანი; 10. წელიწადის დრო; 11. ქართული გაზეთი; 12. ნაკურთხი წყალი; 13. ლითონის დახურული ჭურჭელი გაზისთვის; 14. ფინელი ენათმეცნიერი (1873-1950); 15. ჯუჯა კამეჩი; 16. კონკრეტულ დიალექტზე დაფუძნებული საერთო-სახალხო ენა; 17. ნაბიჯი ბალეტში; 18. მუსლიმანთა ლოცვა, დღეში ხუთჯერადი; 19. აეროპორტი პარიზში; 20. ქალაქის დიდი ბაღი სხვადასხვა გასართობებით; 21. მცირე არია; 22. მიწის სახვნელი ძველებური იარაღი; 23. რწმენა, თვალსაზრისი; 24. თვალის ... ანუ მხედველობა; 25. პროტესტანტების მღვდელი; 26. წვრილი ნაკეცები ტანსაცმელზე; 27. სამორინე; 28. უმაღლესი წოდებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 29. მესამე ნოტი; 30. სანელებელი; 31. იტალიის ტელეარხი; 32. მატერია ანუ ...; 33. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 34. აზრი, ჩანაფიქრი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თემშარა; 2. ოდერი; 3. მერინოსი; 5. პანტომიმა; 9. მახათი; 12. ბაირონი; 14. სეზარი; 15. ლოქო; 17. მტილი; 18. ყაჭი.

თარაზულად: 6. თემიდა; 7. თეოლოგია; 8. უშქარი; 10. კუსტო; 11. სარწყუნისი; 13. ოსმალეთი; 16. ხანუმა; 19. ალკოჰოლი; 20. დილიჟანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეზერვი; 2. სემინარია; 3. ჟორდანია; 4. ჰეროიკა; 5. მელასა; 9. შტირია; 11. რანდევუ; 12. აილამა; 14. ტრიტონი; 18. იგავი; 19. ტუაზი.

თარაზულად: 4. ჰამერი; 5. მინერალი; 6. ხომლი; 7. პროთეზი; 8. ბინოში; 10. ოდერი; 13. ვიტესი; 15. აქციზი; 16. იოდი; 17. ბაკი; 20. ტაბულა; 21. მალიბუ; 22. პავიანი; 23. ზაჰესი.

ზურაბ აბაშიძე: „რუსეთი და საქართველო მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ, რომ „წითელ ხაზებს“ არ გადაკვეთენ“

— 22 მაისს ბრიუსელში ნატოს სამიტი გაიმართა, სადაც ქართულ-რუსული ურთიერთობები განიხილებოდა. თუ შეიძლება, მოგვიყევით ამ სამიტის შედეგებზე.

— ეს მთლად სამიტი არ არის, ორმხრივ თანამშრომლობაზე საქართველოსა და ნატოს ერთობლივი კომისიის სხდომა იყო. მათ შორის მეც მიმიწვიეს, რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებულ პრობლემებზე მომეყოლა, არის თუ არა რაიმე მიღწევები, წინსვლა? საკმაოდ დიდი ინტერესი იყო გამოხატული. პრაქტიკულად, ყველა გაგებით ეკიდება რუსულ-ქართულ დიალოგს და მხარს უჭერენ ინიციატივას, რომელიც თავდაპირველად ეკუთვნოდა ქართულ მხარეს და მხარდაჭერილია რუსეთის მხრიდან.

— ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ რა ნაბიჯები გადაიდგა ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირებისთვის?

— საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთანავე ახალი მთავრობის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა ახალი თანამდებობის, რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოს პრემიერის სპეცწარმომადგენლის პოსტის შექმნა იყო. ამ წინადადებამ რუსული მხრიდან მხარდაჭერა მოიპოვა. მეორე მხრიდან პარტნიორის სახით საგარეო მინისტრის მოადგილე, კარასინი, დაინიშნა. რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერის დავალებით ჩვენ ჟენევაში შევხვდით და დიალოგი დავიწყეთ. ახლა მესამე შეხვედრა გაიმართება.

— გრიგორი კარასინთან 4-5 ივნისის შეხვედრაზე რა მთავარი საკითხი განიხილება?

— ახლა ყველაზე მტკივნეული საკითხებს არ განვიხილავთ, რაც ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებს ეხება — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. რადგან აქ ვაწყდებით მოჯადოებულ წრეს, საიდანაც გამოსავალი ჯერ არ ჩანს; ეს საკითხები წითელ ხაზებად გამოვყავით, რომელსაც არ ვკვეთთ. ჩვენთვის წითელი ხაზი — ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო საქმეებში ჩვენი არჩევანის საკითხია. ამას არ განვიხილავთ, აქ არანაირი კომპრომისები არ შეიძლება იყოს, არანაირი დათმობები, ხოლო რუსეთი საკუთარი გადაწყვეტილების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებად აღიარების უკან წაღებას არ აპირებს. ამიტომ ამაზე საუბარს აზრი არ აქვს. სხვანაირად ჩვენ შევხვდებოდით, ხელს ჩამოვართმევდით და ვეტყოდით, რომ ვთანხმდებით, ვერ ვთანხმდებით და ჩვენი გზით წავიდოდით. ამიტომ მოვილაპარაკეთ დასაწყისისთვის განვსაზღვროთ ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ადვილია, რომელიც არც თბილისში და არც მოსკოვში მიუღებლობას არ იწვევს. ეს არის ვაჭრობის, სატრანსპორტო კავშირების, ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობები და ა.შ. გადავწყვიტეთ, ამ გზაზე ვიმოძრაოთ, ამ მიმართულებით კავშირებს აღვადგენთ. ამ თვალსაზრისით ბევრის გაკეთება იყო საჭირო, რადგან 2008 წლის ომის შემდეგ პრაქტიკულად, ყველანაირი ურთიერთობა გაწყდა. 2006 წელს ქართულ პროდუქციაზე ემბარგო იქნა შემოტანილი. საექსპერტო ჯგუფები გავცვალეთ, ჩვენი ღინის, მინერალური წყლების ხარისხი გავსინჯეთ. ბოლოს და ბოლოს, იქამდე მივედით, რომ, როგორც ჩანს, უახლოეს ხანში ჩვენი პროდუქცია რუსულ დახლებზე მოხვდება. ეს უკვე ცოტა არ არის. იმისთვის, რომ პროდუქცია ძვირადღირებული გზებით არ მოხვდეს, შევთანხმდით, რომ ყაზბეგისა და ზემო ლარსის გავლით საავტომობილო მიმოსვლა გვექნება. ყველა წინაღობას მოვხსნით, რათა ტვირთებმა შეზღუდვების გარეშე იმოძრაოს.

წინა შეხვედრაზე ითქვა, რომ მოსკოვი საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესაძლებლობას განიხილავს. ჩვენ გვსურს, ამ შეხვედრაზე მოვისმინოთ, ეს განხილვა რა სტადიაზე იმყოფება. სავიზო რეჟიმი არა ყველასთვის, არამედ გარკვეული კატეგორიებისთვის იხსნება. მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ უფრო სრულ ინფორმაციას მივიღებ. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი თანამემამულეების დიდი რაოდენობა რუსეთში ცხოვრობს. სხვათა შორის, ტურისტების რაოდენობა იზრდება. ამ წელს რუსი ტურისტების გაზრდას თითქმის 100 პროცენტით ველით.

ვისაუბრებთ სოჭის ოლიმპიადაზეც. ქართულმა მხარემ მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო. ეს კეთილი ნების ჟესტი, ვფიქრობ, მოსკოვში შენიშნეს და დააფასეს. ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, როგორ დავეხმაროთ ბიზნეს-ინიციატივებს. ვფიქრობ, ექვსი თვის ვადაში არცთუ ცოტაა საკეთებელი.

— ღვინისა და მინერალური წყლების გარდა, სხვა პროდუქციის მიწოდება ხომ არ იგეგმება?

— დიახ, რასაკვირველია. საუბარია ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

— თუკი წითელ ხაზებს არ შევეხებით, როგორ უნდა გამოიყურებოდეს რუსეთსა და საქართველოს შორის იდეალური ურთიერთობები?

— რომელ იდეალურ ურთიერთობებზე შეიძლება ვისაუბროთ, თუკი, ჩვენი კანონით, სახეზეა ოკუპირებული ტერიტორიები? ჩვენ ახლა მხოლოდ ვცდილობთ ჩიხიდან გამოსვლას. ჟენევაში უფრო მწვავე საკითხებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ შეიქმნა, უსაფრთხოებაზე, ჰუმანიტარულ პრობლემებზე. ყოველდღიურად ამ ადმინისტრაციულ საზღვარზე უსიამოვნო ინციდენტები ხდება, შექმნილია მექანიზმი მათი დარეგულირებისთვის, მაგრამ ჩვენ იდეალური ურთიერთობისგან ძალიან შორს ვართ.

— როგორ უყურებთ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე გიორგი მარგველაშვილის წამოყენებას?

— ძალიან დადებითად. ძალიან კარგად ვიცნობ — უბრალოდ, ბრწყინვალე ადამიანია, უმაღლეს დონეზე განათლებული, ნიჭიერი, გაწონასწორებული, ჭკვიანი, საინტერესო. ეს ძალიან წარმატებული არჩევანია.

— მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დარჩება?

— მოსალოდნელია, რომ დარჩება. ასეთი ადამიანები ბოლომდე რჩებიან პოლიტიკაში. ვერ წარმომიდგენია, სააკაშვილი სადღაც წავიდეს, უნივერსიტეტში ასწავლოს. არ არის ასეთი ტიპის ადამიანი.

(„გოლოს როსიი“)

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ირანის პრეზიდენტის ვერტმფრენმა ექსტრემალური დაშვება განახორციელა

ირანის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის ვერტმფრენმა, რომელშიც თავად იმყოფებოდა, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ფრენისას, ავარიული დაშვება განახორციელა. უცხოური სააგენტოების ცნობით, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. მფრინავმა ექსტრემალური დაჯდომის გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო, როგორც კი ფრენისას ხარვეზები შენიშნა.

„ვერტმფრენის ბორტზე პრეზიდენტთან ერთად ხელისუფლების რიგი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, ადგილი ჰქონდა ტექნიკურ გაუმართაობას, თუმცა პილოტმა მისი უსაფრთხოდ დაშვება მოახერხა. ღვთის წყალობით, პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები არ დაშავებულან“, — ნათქვამია ირანის პრეზიდენტის ადმინისტრიაციის ოფიციალურ განცხადებაში.

მისივე ინფორმაციით, ინციდენტის მიუხედავად, ახმადინეჯადმა სამუშაო ვიზიტი მაინც განახორციელა და დედაქალაქში ავტომანქანით დაბრუნდა.

აშშ: სირიის შესახებ კონფერენციაში ირანის მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ჯენ პსაკის განცხადებით, ოფიციალურ ვაშინგტონს ჯერ-ჯერობით არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება ჟენევაში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში ირანის ისლამური რესპუბლიკის მონაწილეობა — არ მონაწილეობის საკითხი.

შეერთებული შტატების მოსაზრებით, ირანი შექმნილ სიტუაციაში არაკონსტრუქციულ როლს თამაშობს, რადგან ლიბანის რადიკალურ შიიტურ დაჯგუფება „ჰეზბოლასთან“ ერთად აშკარად მონაწილეობს კონფლიქტში მოქმედი ხელისუფლების სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებისა და სამშვიდობო პროცესის დაწყების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე შეთანხმდნენ.

ამავე დროს, აშშ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციას სირიაში იარაღის მიწოდების შეწყვეტისკენ მოუწოდებენ. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის თქმით, სირიისთვის იარაღის მიწოდება ნეგატიურ გავლენას იქონიებს სიტუაციაზე და უარყოფითად აისახება ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. თავის მხრივ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვიდო ვერსტერველე მოსკოვს მოუწოდებს, საფრთხის ქვეშ არ დააყენოს საერთაშორისო კონფერენციის გამართვის საკითხი.

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუსული რაკეტების პირველი კომპლექტი უკვე მიიღო.

რუსეთმა სირიის საკითხთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს დეკლარაცია კვლავ დაბლოკა. აღნიშნულის გამო შეშფოთება საერთაშორსო ორგანიზაციებმა და წითელმა ჯვარმა გამოთქვეს. ამასთან წითელმა ჯვარმა სირიაში არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება.

ქალაქ კუსეირში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შედეგად ათასობით ადამიანი მშვიდობიან ტერიტორიაზე გადასვლას ვერ ახერხებს.

ამ დრომდე მათთვის ვერც სუფთა სასმელი წყლის, საკვებისა და არსებობისათვის აუცილებელი ნივთების მიწოდება ხერხდება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი
3 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე“ 11.00 „საოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა“ 17.00 „გურმანია“ 18.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება“ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 22.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ 23.00 მხ/ფ „გეტმენი — დასაწყისი“ 01.00 „დღეს ორის ნახევარზე“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „დუბლინი“ 09.00 მხ/ფ „და ყველაფერი განათდა“ 11.00 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი: ჯაშუში“ როშელვაც შეამცდინა“ (მ.მაიერსი) 13.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 4 ნაწ. 14.00 „ეპიცენტრი“ (შაბ. გ/ჩ) 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 5 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „პარტოსული“ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 კრიმ. სერ. „უკანასკნელი ნათლია“ 1 სერ. 00.00 ქრონიკა (15 წთ) 00.15 მხ/ფ „დაუსრულებელი სიცოცხლე“ (ჯ.ლოპესი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 მოგზაურობა 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 მხ/ფ „მაისის თოვლი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი“ 13.30 „შუადღე“ ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „პეპო“ 17.45 ეთნოგრაფია 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „სინემა“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „შორ ვართ“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ჰაჯი მურატი-ფილმი,რომელიც არ დაიდგა“

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი“ 16.30 „ღია კარის დღე“ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები

ომარ გრიგოლის ძე ფერცულიანის გახსენება

ადამიანი იმიტომ არის ღმერთისგან მოვლენილი დედამიწის პატრონად, რომ სიკეთე და სიყვარული, პატივისცემა და მეგობრობა, ურთიერთგაგება და ურთიერთდახმარება იყოს მისი კრედო.

ჭეშმარიტი პატრიოტი, საზოგადოებრივად აქტიური, თავდადებული მეგობარი, ახლობლებისა და ნათესავების მოყვარული, სიკეთითა და გულისხმიერებით აღვსილი პიროვნება, რომლის გარდაცვალებამაც ჭეშმარიტი სინანული და გარშემომყოფთა გულისტკივილი გამოიწვია. სწორედ ასეთი იყო ჩვენი თანამებრძოლი, გენერალ-მაიორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი, ომარ ფერცულიანი, რომელიც უკვე ორი წელიწადია, ჩვენ გვერდით აღარ არის.

ბატონი ომარ ფერცულიანი გახლდათ გამორჩეული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება, ენერგია, ნიჭიერება ერთ დიდ მიზანს, ერთ დიდ საქმეს მოახმარა და ამით წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებაში. საშუალო სკოლისა და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ომარ ფერცულიანი ცხოვრების ფერხულში ჩაება და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მშობელი ქვეყნის სამსახურში იყო ჩამდგარი, როგორც მისი ერთ-ერთი უერთგულესი ჯარისკაცთაგანი. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. კერძოდ, ქ.სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოში მილიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე სამეურნეო დარგში, გულრიფშის რაიონში დისლოცირებული მე-5 ბატალიონის საფინანსო სამსახურის უფროსი, ომის დამთავრების შემდეგ გადადის მოსკოვში და, როგორც დიდი გამოცდილების მქონე შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელი, მიწვეულ იქნა ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სამუშაოდ, სადაც უმწიკვლოდ იმსახურა რამდენიმე წელი და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

აი, ის გზა, რომელიც შრომით, პატიოსნებით, რუდუნებით, მშობელი ქვეყნისადმი, ოჯახისა და ახლობლებისადმი ერთგულებაში განვლო ომარ ფერცულიანმა.

იგი გულმხურვალე პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა. მას ერთი დღითაც არ დაუტოვებია ომის ქარცეცხლში გახვეული სოხუმი, თავისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით ბრძოლის ველიდან განურიდებია მშვიდობიანი მოსახლე და საბრძოლო მოქმედებებში დაჭრილი მეომარი. ის ძლიერ განიცდიდა აფხაზეთის ტრაგედიას, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა აფხაზეთიდან ლტოლვილ, გაჭირვებულ ოჯახებს, აქტიურად მონაწილეობდა „დიოსკურია 2005“-ის საქმიანობაში. სწორედ ამიტომ, საშვილიშვილო საქმეში შეტანილი წვლილის გამო, აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების კავშირ „დიოსკურია 2005“-ს და სტომატოლოგიურ კლინიკას მიენიჭა ომარ ფერცულიანის სახელი.

სწორედ ამ კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ჩვენი გმირების უკვდავსაყოფად შეიქმნა მშვიდობის დროშა და ოქროს სამკერდე ნიშანი. ამ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან ის ადამიანები, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ აფხაზთა და ქართველთა დაღუპული ოჯახების დასახმარებლად. ეს სამკერდე ნიშანი უკვე გადაეცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. ასევე, 2013 წლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ სხდომაზე დაჯილდოდა საქართველოს ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ნადარაია. დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი მიაგო ბატონი ომარ ფერცულიანის ხსოვნას.

ომარ ფერცულიანს ეკუთვნის მრავალი მემუარი და მოგონება, სტატია და წიგნები: „სისხლით მორწყული სოფელი“ და „გამარჯვების მედროშე“, ხოლო „გულით დანახული აფხაზეთი“ გამოუქვეყნებელი დარჩა, მაგრამ მას საზოგადოება მაღე იხილავს. მას დარჩა ღირსეული ოჯახი — მეუღლე, ნინო ქებურია-ფერცულიანი, მეცნიერ-მუშაკი, მრავალი სასახელო ქართველის პედაგოგი, ღირსეული შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი.

თქვენისთანა ადამიანები კვლავ აღეზარდოს ჩვენს ერს, ქვეყნის სასიკეთოდ და თქვენი სადიდებელი ყოფილიყოს ყოველი ახალი დღე უთქვენოდ და მაინც თქვენთან ერთად. მის საცხოვრებელ სახლზე გაიხსნა ომარ ფერცულიანის სახელობის მემორიალური დაფა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა!

პატივისცემით, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის, „დიოსკურია 2005“-ის, ფაზისის აკადემიის, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიისა და საქართველოს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ქალდეას“ პრეზიდიუმები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ივნისი

- აშშ დოლარი — 1,6496
- ევრო — 2,1432
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5071
- 100 რუსული რუბლი — 5,1878

ამინდის პროგნოზი 3 ივნისისთვის

29 მაისიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 3 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
საინტერესო დღეა

ვერძი — თავს კარგად იგრძნობთ, დღე საინტერესოდ წარიმართება. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და კარგი ამბავი ჩამოაქვს. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ლომი** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც დაგეგმეთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — აირჩიეთ საჩუქარი, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. **ღრიანკალი** — დაგეხმარებიან, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ოპონენტები გიტევენ. **თხის რქა** — ბედი გწყალობთ, თამამად იმოქმედეთ. **მერწყული** — ჩამოყალიბდით, გაარკვიეთ, რა გინდათ სინამდვილეში. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

თარაზულად: 1. ფასიანი ქაღალდი; 6. გეომეტრიული სხეული; 7. ვულკანური წარმოშობის ქანი; 9. ძველფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 10. დათვის ნაშიერი; 11. ვილა ანუ ...; 13. მტაცებელი ფრინველი; 15. ერთგვარი სამხედრო შარვალი; 17. ჯგუფური გასვლა ქალაქგარეთ ქეიფის ელემენტებით; 18. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 19. ტურისტული ცენტრი სვანეთში; 20. მოჩვენება.

შვეულად: 1. პლანეტის სამოძრაო გზა; 2. სიმებიანი საკრავი; 3. გადაშენებული უზარმაზარი ქვეწარმავალი; 4. ჩაზელილი კარტოფილი; 5. ჭადრაკის პარტიის ერთგვარი დასაწყისი; 8. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 9. სხვისი გამოსადეგი გამოცდილება; 12. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 14. ამქვეყნიური სიამოვნების უარმყოფელი ადამიანი; 16. მინანქარი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



მეიდანზე სიათნოვობა აღინიშნა

ეკა ირემაშვილი

თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, მეიდანში, საიათნოვასადმი მიძღვნილი დღესასწაული – ვარდატონი – ვარდების დღესასწაული აღინიშნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ასევე სომეხი მწერლები და პოეტები. სტუმართა შორის იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარიც. მეიდანზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა მაყვალა გონაშვილმა, პოეტმა გივი შაჰნაზარმა და სხვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა.

– ეს დღე ქართველი და სომეხი ხალხის საერთო დღესასწაულია. საიათნოვა ქართულ-სომხური ურთიერთობების სიმბოლოა. ის შუა საუკუნეების გვიანი პერიოდის სომხური პოეზიისა და სასულიერო კულტურის სახელოვანი წარმომადგენელი იყო. ცნობილია, რომ საიათნოვა თბილისში აღა მაჰმად ხანის შემოსევას ემსხვერპლა და ესეც არის ქართულ-სომხური ერთობლივი ისტორია. ის იყო დიდი ჰუმანისტი. ის ერთნაირად ძვირფასია როგორც სომხებისთვის, ასევე ქართველებისთვის. ის არა მხოლოდ ქართველი და სომეხი ხალხის საერთო წინაპარია, არამედ, შესაძლოა, ურთიერთობების გაღრმავების სიმბოლოდაც ჩაითვალოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა გამორჩეული იქნება რეგიონში. ჩვენ ერთ სახელმწიფოს ვაშენებთ. თითოეული მოქალაქის როლი მნიშვნელოვანია და მჯერა, რომ აქტიურად ჩაერთვებით ამ პროცესში, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

იუნესკომ შარშანდელი წელი საიათნოვას წლად გამოაცხადა, რადგან სწორედ ამ წელს სომეხი პოეტის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. სომეხთა სამოქიცულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ თბილისში ვარდატონი – ვარდების ზეიმი ჩაატარა, რომელიც საქართველოში მოღვაწე სომეხ პოეტს, აშუღსა და მომღერალს მიეძღვნა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით სურბ გევორგის სახელობის ეკლესიაში ჩატარდა წირვა, რომლის შემდეგაც პარაკლისი იქნა გადახდილი ეკლესიის ეზოში მდებარე საიათნოვას საფლავთან.

ვარდატონის დღესასწაული დაარსდა 1914 წელს თბილისში, ჰოვანეს თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის მიერ. ტრადიციულად ვარდატონი ყოველწლიურად მაისის ბოლო კვირა დღეს აღინიშნება. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს, თბილისის მერიის, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიისა და საქართველოს სომეხთა კავშირის მხარდაჭერით ტარდება.

– საიათნოვას ნამდვილი სახელი არუთიუნ საიათიანია. ის თბილისში 300 წლის წინ დაიბადა. დედა თბილისელი ჰყავდა, მამა კი წარმოშობით ან ალეპოდან ან ადანადან უნდა ყოფილიყო. საიათნოვა განთქმული იყო საკუთარი ლექსებით, სიმღერით. უკრავდა კამანჩეზე, ჩონგურზე. ის ერეკლე II-ის კარის მომღერალი და მუსიკოსი იყო და გადმოცემით დიპლომატის ფუნქციასაც ასრულებდა. ასევე გადმოცემით მისი შუამავლობით შესაძლებელი გახდა ალიანსი საქართველოს, სომხეთსა და შირვანს შორის სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ. თუმცა მეფის ქალიშვილის სიყვარულის გამო კარის სამსახური დაკარგა და დანარჩენი ცხოვრება გზაში ხეტიალსა და სიმღერაში გალია. საიათნოვას ავტორობას შეიძლება მიეწეროს დღემდე მოღწეული დაახლოებით 200 სიმღერა, თუმცა, სავარაუდოდ, მას ათასობით სიმღერა უნდა ჰქონოდა შექმნილი. მის სიმღერათა უმრავლესობა ქართულ, სომხურ და სპარსულ ენებზეა. მათი დიდი ნაწილი დღესაც პოპულარულია. საიათნოვას პოეზია ორიგინალურია სტილითა და რიტმიკით. მის პოეზიაში თავი იჩინა აღმოსავლურმა სალექსო ფორმებმა და ლექსიკამ, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა თანადროულსა და მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე. საიათნოვას ქართული ლექსები გამოსცეს იოსებ გრიშაშვილმა და ალექსანდრე ბარამიძემ, სომხური ლექსები კი თარგმნა გივი შაჰნაზარმა, აზერბაიჯანული – გიორგი შაყულაშვილმა. ცნობილია, რომ საიათნოვა ბერად შედგა ახპატში, მაგრამ დროდადრო თბილისს უბრუნდებოდა. სომეხი პოეტი დაიღუპა 1795 წლის სექტემბერში ახპატის მონასტერში აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს. იგი თბილისის სურბ გევორგის ეკლესიაშია დაკრძალული, – ითქვა ვარდატონის დღესასწაულზე.

მეიდანზე საიათნოვასადმი მიძღვნილი კონცერტიც ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სომეხმა და ქართველმა შემსრულებლებმა და სხვადასხვა ფოლკლორულმა ანსამბლმა. მათ ძირითადად დიდი აშუღის მუსიკალური და პოეტური ნაწარმოებები შეასრულეს.

– მქონდა პატივი, საიათნოვას ლექსები მეთარგმნა. მისი პოეზია საოცრად რიტმული და მელოდიურია. შემთხვევითი არ არის, რომ მის ლექსებზე არაერთი სიმღერაა შექმნილი. ვარდატონი ნამდვილად ლამაზი და კარგი დღესასწაულია, რომელიც უკვე საუკუნეზე მეტია ტარდება. მიხარია, რომ მასში მონაწილეობას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იღებს, საიათნოვა ის ხელოვანია, რომელიც არ უნდა იქნას დავიწყებული, – განაცხადა გივი შაჰნაზარმა.

საიათნოვობა, ტრადიციულად, თბი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უკრაინული ოქრო და მოოქროვილი შანსები

გიორგი ცინცაძე უკრაინის ჩემპიონია. მისმა „ბუდიველნიკმა“ ფინალური სერიის მე-7, გადამწყვეტ შეხვედრაში 82:70 დაამარცხა „აზოვმაში“ და ოქროს მედლებს დაეპატრონა. ქართველი კალათბურთელი გადამწყვეტი მატჩის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი კიევური გუნდის სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე 24,45 წუთი გაატარა. რომ არა 5 პერსონალური შენიშვნა, ქართველი ფორვარდი ალბათ მეტსაც ითამაშებდა. ცინცაძე შეტევის ორგანიზებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე მის დაგვირგვინებაზე და შედეგიც სახეზეა: ქართველმა გამთამაშებელმა ევროპული კალათბურთისთვის საკმაოდ ბევრი – 9 პასი ჩამოარიგა.

რაც შეეხება სხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ცინცაძემ 3 ქულა, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. გიორგიმ სამივე ორქულიანი ააცილა და 2-დან 1 სამიანი ჩააგდო.

ვიქტორ სანიკიძის „სიენამ“ კი, ნახევარფინალური სერიის მორიგი მატჩიც მოუგო „ვარეზეს“ და ფინალს მიუახლოვდა. სიენელებმა ძალიან დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება. ბოლო მეოთხედის წინ სანიკიძის გუნდი 11 ქულით აგებდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში დიდებულად ითამაშა, მატჩი 78:77 მოიგო და სერიაში 3:1 დაწინაურდა.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ვარეზელებმა თამაში რიხით დაიწყეს და პირველი მეოთხედი 28:18 მოიგეს. დიდი შესვენებისთვის სიენელებმა ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს, თუმცა მესამე პერიოდში ისევ იძალეს და როგორც ვთქვით, ბოლო მეოთხედის დაწყებამდე სოლიდური სხვაობით – 62:51 იგებდნენ.

მასპინძლებმა სრული მობილიზებით ჩაატარეს გადამწყვეტი პერიოდი, რომელიც 27:15 მოიგეს და საბოლოოდ 1 ქულით გაიმარჯვეს. სიენელთა გამარჯვებაში ლომის წილი ამერიკელმა გამთამაშებელმა ბობი ბრაუნმა დაიდო, რომელმაც 27 ქულა დააგროვა. სანიკიძე კვლავ მოკრძალებული დროით ათამაშეს. 7 წუთში ქართველმა ფორვარდმა 2 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ვიქტორმა 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

სერიის მომდევნო მატჩი 3 ივნისს ვარეზეში გაიმართება. თუ საჭირო გახდა, მომდევნო მატჩები 5 და 7 ივნისს – სიენასა და ვარეზეში ჩატარდება.

გიორგი შერმადინი ბერძნული ფინალისკენ მიიწევს. მისმა „ოლიმპიაკოსმა“ ნახევარფინალური სერიის მეორე შინაური მატჩიც, ამჯერად 87:72 მოუგო „აგორს“ და საერთო ანგარიშით 2:0 დაწინაურდა. ერთი გამარჯვებაც და პირეოსული გრანდი საჩემპიონო სერიაში გადაინაცვლებს.

პირველი მატჩის მსგავსად, შერმადინმა ამჯერადაც ცოტა ითამაშა. ქართველი ცენტრი მოედანზე 6,11 წუთით გამოჩნდა და 2 მოხსნას დასჯერდა. გიორგის ფეხის ტრავმა აწუხებდა და ამის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა. სავარაუდოდ, მას მწვრთნელები არ ტვირთავენ და ფინალური სერიისთვის ინახავენ, სადაც პირეოსელებს სავარაუდოდ დიდი ბრძოლები ელის მეორე ბერძნულ გრანდ, ათენის „პანათინაიკოსთან“, რომელიც პირეოსელთა დარად ნახევარფინალურ სერიას 2:0 იგებს (პანიონიოსთან).

ნახევარფინალური სერიის მომდევნო მატჩები 3 ივნისს გაიმართება და თუკი ბერძნული გრანდები იმარჯვებენ, ფინალშიო გავლენ.

მ. ჟ.